სახალხო გაზეთი

№ 602 შაბათი, 19 მაისი, 1912 წ. № 602

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-იდან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი №12-29.

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ტფილისი

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

27 მაისს, „ახალ კლუბის“ ბაღში გაიმართება

სეირნობა ბაზრით

საზოგადოების გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ქართველ საზოგადოებას **დახმარებას.** ყოველივე წვლილი დიდის მადლობით იქნება მიღებული. შემოწირულება მიიღება „საზოგადოების“ კანცელარიაში ყოველ დღე, დილის 9—3 საათამდე, საღამოს 6—9 საათამდე. (0.1254,7)

სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატებით მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წლიური ხელის მომწერნი იღებენ პრემიად I წ. „ზრდემლს“.

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

თვეში ღირს — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ 8 მ. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მან., მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს **1-ლ ივლისამდე.**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

№ 43 **ძმ. ზუბალაშვილების სახელობის სახ. სახლი.** № 103.

ზ. ს. ს. ს. ქართულ წარმოდგენების მმართველი წრე.

ხუთშაბათს, 24 მაისს 1912 წ. წრის სცენის მოყვარეთა დასის მიერ **ა. იმედაშვილი**-ს მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

„მეზობლები“.

დრამა 4 მოქმედ. ტრ. რამიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ბეჟანოვა, გამრეკელი-ტოროლი, ტანელი, რომანიშვილი-დგებუაძე, ა. ქიქოძე, ბ-ნნი დ. ბაქრაძე, ნ. გოცირიძე, ა. იმედაშვილი, მ. ინაშვილი, ა. მეტრეველი, ა. ნარი, მაჭავარიანი, კ. ხახანაშვილი, ჭიაურელი, ნ. ჭამკვეტაძე. დასაწ. საღ. 8½ ს ადგილების ფასი 5 კ. 50 კ.-მდე. მზადდება წარმოსადგენად: „გაზაფხულის ნიაღვარი“.

რეჟისორი **ლ. წუწუნავა.**
ადმინისტრატორი **ხვ. ჯუღელი.**
მორიგი წევრი **ს. თავდიშვილი.**
(5.1214.1)

ამა წლის პირველ ივნისიდან ქ. ქუთაისში გამოდის ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ჩვენი ცხოვრება“

გაზეთი წლიურად ღირს	7 მან.	თვიურად ქუთაისში	— 80 კ.
ნახევარის წლით	4 „	ქუთაისს გარედ	— 90 „
სამი თვით	2 „ 10 კ.	საზღვარგარედ წლიურად	14 მ. —

ცალკე ნომერი ყველგან—**ერთი შაური.**

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—სამი შაური, უკანასკნელზე ორი შაური. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა სამი მანეთი.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. სულაქველიძე.**

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Кутаисъ, Юстину Гавріиловичу Баланчивадзе. ფული მიიღება **მხოლოდ ბალანჩივაძის** სახელზე. რედაქციის ადრესი: ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, თედორაძის სახლები № 6. (3—1270—2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ძმენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაცი-ნალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყ.	**ამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მალალაშვილი გ. ვ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სამშობიარო-ქალთ. ავ. (ქირურგ.-გინეკოლ.)	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
სამშობიარო-ქალთ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვთ. წამლ. ელექტ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ტრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის ავ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.
კან. და ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann-რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ **წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—10[illegible]0—340)

საჭიროა გაზეთების გამყიდველი აგენტები

ჟურნალ-გაზეთების მგზავნელ ბიუროსთვის: **ფოთში, სამტრედიაში. სეკაში, ზუგდიდში და ლანჩხუთში.**

მისამართი: ტფილისი, გაზ. „ზაკავკაზსკაია რეჩი“, ერ. გორდელაძეს. (5—2)

ახალი კლუბი

გადადის **საზაფხულო შენობაში** შაბათს, 19 მაისს, 1912 წ. 4 საათზე დილით წევრთათვის და მუდმივ სტუმართათვის იქნება საზოგადო სადილი ხელის მოწერით.

საღამოთი სინემატოგრაფი და სიმფონიური ორკესტრი.

სტუმრები იხდიან: კაც. 50 კ., ქალები და სტუდ. 25 კ. (2.1241.2)

სახალხო უნივერსიტეტი

მუშტაიდში, შაბათს, 19 მაისს,

სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების

საშუალებათა გასაძლიერებლად დიდი სახალხო სეირნობას,

მრავალ-ფეროვანი პროგრამით:

აწონვა, (უმძიმესს და უმსუბუქეს ჯილდო მიეცემა). რგოლების სროლა. პტიშვო. ჩინური ბილიარდი. ფოსტა. კონფეტი. დედოფალა. ყვავილები. ყველასთვის ხელმისაწვდომი ბუფეტი: ბუტერბროდი, ჩაი, გრილი სასმელები და სხვა. ● **ხაზანდარი** ● **სეირნობაზე სამხედრო მუსიკა დაუკრავს და შუშხუნებს აუშვებენ.** 1. სფერო, 2. რაკეტები სროლით, ფრიალებით, წვიმით და თაიგულებით, 3. სატკაცუნები, 4. სფერო ფერადის ვარსკვლავებით, 5. მზე, 6. რომაული სანთლები, 7. საქსონიის მზე, 8. ტელეგრაფი, 9. ვეზუვი. ცნობილ კავკასიელ მხატვარ კ. ყაზაროვის მიერ დამზადებული. საბავშო თამაშობანი 3—4 საათამდე. დიდებისათვის სეირნობა 6 ს. იწყება. ფასი დიდებისთვის 25 კ., ბავშვებისათვის, მოწაფეთა და ჯარის-კაცთათვის 15 კ. (1.467.1)

პირველ თიბათვიდან (ივნისიდან)

ქ. გორში

გამოვა ყოველ დღიური სალიტერატურო სავაჭრო და სამეურნეო სახალხო **გაზეთი**

„ქართლი“

ყოველ კვირეულ სურათებიან დამატებით.

ფასი გაზეთისა **დამატებით** წელიწადში ხუთი მანათი, **უდამატებოდ** ოთხი მანათი, თვიურად ცხრა შაური **ცალკე ნომერი ყველგან სამი კაპეიკი.** დაწვრილებით შემდეგ.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. ეკალაძე-ცინცაძე.**

მისამართი: ქ. გორი, რედაქცია „ქართლი“.

(5.1276.1)

ავლაბრის ქართულ სცენის მოყვარეთა სექციასთან უკვე დაარსდა

ქართველ მომღერალთა გუნდი

ხორო.

ბ-ნ ვ. მათურელის ლოტბარობით, გუნდის საქმეთა გამგე-რებლად, წრის მმართველი გამგეობა, იწვევს მსურველთ მიიღონ მონაწილეობა გუნდში. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ გამგეობის თავმჯდომარეს **ბ. თ. ზ. ნასიძეს** ყოველ დღე 5—7 საათამდე საღამოთი—ავლაბარი, შემახის ქუჩა № 5. ან და „ახალი კლუბის“ კანტორაში—დილის 9—11 საათამდე. (4 430—2)

ტელეფ. 296 ბაღი ედემი ვერაზე ტელეფ. 296

ყოველ დღე 2—6 და საღ. 10—3 საათამდე უკრავს ქალ-ვაჟთა სიმებიანი ორკესტრი **ბ. კაზიმირის** ხელმძღვანელობით.

ბაღშია მოწყობილი სამზარეულო ქართულ-ევროპიულ საჭმელ-სასმელებით. შეიძლება დაკვეთა სადილ-ვახშმებისა. სანოვაგე ყოველდღე ახალ-ახალი.

(5—1255—) **ბაღის პატრონი კ. ბაქრაძე.**

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 301)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბ. ა. პოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606“-ით.

(წლ.—1018—270)

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ.—1022—58).

ექიმი პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება სტლის ნაკლულება, რევმატიზმი--ქარები) სიფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9--12. საღამოს 5--7. (25.1045.113).

გამოცდილმა

მასწავლებელმა

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო და სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის. ღებულობს ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამო 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1, входъ съ подъѣзда, нижній звонокъ. просить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памяти. Воронцову).

(თ. 1084.26)

შპალიერი

ძმ. ტარნოპოლთა

ქარხნისა.

ტფილისის განყოფილება.

იმყოფება გოლოვინის პროსპ., № 21, სახ. არტისტ. საზ., **ტელეფ.** № 355.

საწყობში ყოველთვის ბლომად არის შპალიერი, რომელიც **საქარხნო ფასებში იყიდება,** თოფი 8 კაპ.-დან 6 მან.-დე. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა დიდ ქალაქებში.

შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50.1155.17)

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნებრივ, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5--7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩინაძისა ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1037 166)

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედის** ქ., № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—39)

ექიმი კბილისა ა. (გ.) ბ. დოლიძე

გადავიდა ნაძალადევში (რკ. გზ. ხიდთან ჩერქეზოვისა და ხუდადოვის ქუჩის კუთხეში № 145). სწამლობს კბილისა და ღრძილის ავადმყოფობას, აკეთებს პლომბებს და უდგავს ხელოვნურ კბილებს, **დილის 8—2 ს—მდე** და **საღამოს 4—7 ს.** (თ.1179.35)

ექიმი ე. ი. მინასიანცი შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mnthien-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067) (100—1117—157)

ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ქაჯაია

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—94)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს, საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს: მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

ექიმი ი. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი —7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—80.

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10--2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

ტფილისი, 19 მაისი

კრებების თვე.

მაისი კრებებების თვეა. ყველა ჩვენი დაწესებულებანი ჩვეულებრივად მაისში აბარებენ საზოგადოებას წლის მოქმედების ანგარიშს. ჯერ-ჯერობით „კახეთი“-ს საზოგადოების კრებები დასრულდა, 27 მაისისთვის მეორეთაა დანიშნული ფილარმონიულ საზოგადოების წევრთა წლიურ კრება. იმის მიხედვით, თუ რომელ საზოგადოების კრებას რამდენი ხალხი ესწრება, შეგვიძლიან გამოვარკვიოთ, საითკენ უფროა მიმართული ჩვენი საზოგადოების გულისყური. ამ მხრით „კახეთი“-ს ამხანაგობის კრებამ ვერ დაგვაკმაყოფილა. ფილარმონიული საზოგადოებაც მეორეთა ნიშნავს კრებას, ალბად პირველად იმდენი წევრი არ გამოცხადდა, რომ კრებას კანონიერი ხასიათი ჰქონოდა. ასეთი გულ-გრილობა კი მიუტევებელია. მგონია საჭირო აღარ არის იმის მტკიცება, თუ რამდენად დიდ-მნიშვნელოვანია ჩვენი ეროვნული თვით-ცნობიერების გასავითარებლად მუსიკა. ამ საგანზე იმდენი რამ დაწერილა, რომ გამეორება საჭიროდ აღარ მიგვაჩნია. მიუხედავად ამისა ქართველი საზოგადოება მაინც გულგრილობას იჩენს. გასაკეთებელი ბევრი რამ არის. გაკეთება კი მხოლოდ მაშინ მოხერხდება, თუ საზოგადოებამ და განსაკუთრებით კი მუსიკის მცოდნე პირებმა აქტიური და ენერგიული მონაწილეობა მიიღეს ფილარმონიულ საზოგადოების მოქმედებაში. საუბედუროდ იძულებულნი ვართ აღვნიშნოთ, რომ რაღაც უაზრო და უადგილო ქიშპობას დაუსადგურია ჩვენს მემუსიკეთა შორის. მიყრუებულ კუნჭულებში იხლართება ეს ქიშპობა და ხანდისხან პრესაშიაც იჩენს ხოლმე თავსა. ვისაც ცოტათი მაინც შესტკივა გული ქართულ ეროვნულ მუსიკის მომავლისთვის, უნდა უკუ აგდოს ეს ანტი საზოგადოებრივი ქიშპობა და წრფელის გულით, წრფელის განზრახვით ჩაერიოს საქმეში, რომელსაც უსათუოდ დიდი მომავალი მოელის.

27 მაისისთვის დანიშნულია ფილარმონიულ საზოგადოების წევრთა წლიური კრება. კრებამ უნდა განიხილოს 1911 წლის ანგარიში, 1912 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, ამოირჩიოს გამგეობის კანდიდატები და სხვა. იმედია ქართველი საზოგადოება ჩვეულებრივის გულ-გრილობით არ შეჰხვდება ამ კრებას და დაესწრება.

სახელმწიფო სათათბირო

დეპეშები

თავ. ვოლკონსკი თავმჯდომარეობს.

განაგრძობენ ადგილობრივ სასამართლოს გარდაქმნის კანონ-პროექტის განხილვას.

კოვალენკო მე-2 მოითხოვს კანონ-პროექტის მიღებას და დასძენს: მომავალ სასამართლოს უფლება მივანიჭოთ 300 მანეთის ფარგლებში გაარჩიოს საჩივარიო.

ანტონოვი კანონ-პროექტის მიღების მომხრეა.

ზამისლოვსკი ძალიან შეუშინებია კანონ-პროექტის საფუძველს, მოსამართლეთა არჩევის პრინციპსა. მემარჯვენენი ყოველთვის პატივისცემით ვეპყრობით სახელმწიფო საბჭოს, მაგრამ განუხილველად დადასტურება საბჭოს ყოველისავე წინადადებისა, შეუძლებელია. (მემარჯვენეთა ტაში).

ჩერნოსვიტოვი. საბჭოს შესწორებებით ვერაფერი შეუცვლია და სათემო სასამართლო სრულიად ვერ გაუმჯობესდებაო. იმ მომრიგებელ მოსამართლეთ, კანონპროექტი რომ აწესებს, საერთო არა აქვთ რა მესამოცე წლების მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტთან. რუსეთის უბედურება შავთა და წითელთა კავშირი კი არ არის, ცენტრელების მთავრობისადმი ქედმოხრილობაა.

გვოზდიცკიც წინააღმდეგია კანონ-პროექტისა.

კროპოტოვი გლეხებს ურჩევს კანონ-პროექტს დაუკვირდით და განსაჯეთ თუ რა კანონმდებლები სხედან მესამე სათათბიროშიო.

ანდრეიჩუკი. გლეხები კანონ-პროექტს მისცემენ ხმას მხოლოდ მუხლობრივ განხილვის დროს ჩვენი შესწორებანი უნდა მიიღოთო.

შემეტოვი კაზაკთა ოლქებში მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის შემოღებას მოითხოვს.

ნისელოვიჩი. კანონ-პროექტი ებრაელობას ავიწროებს და მესამე სათათბიროს ზნეობასაცა ჰკლავს. მომრიგებელ სასამართლოებიდან ებრაელობის განდევნისათვის კიდევ ბევრი რამ დაგჭირდებათ.

ზახარიევი შემეტოვის წინადადებას ემხრობა და სასტანიცო სასამართლოთა მოსპობას მოითხოვს.

დვორიანინოვი სიხარულით ეგებება კანონ-პროექტსა და დასძენს, სოფლებში ძალიან გავრცელებულია თავხედობა, საჭიროა სასჯელის გაძლიერებაო.

კამათი გათავდა.

მომხსენებელ შუბინსკის საქმიან შენიშვნად მიუჩნევია მხოლოდ ერთი შენიშვნა, სასტანიცო სასამართლოთა მოსპობის გამო, მაგრამ შეუძლებელია მაგი განხორციელებაო და სურვილად უნდა დარჩესო.

სვენციცკი პოლონეთა კოლოს სახელით ლაპარაკობს. ეს რეფორმა დასავლეთისად გუბერნიას არ ეხება, ამიტომ საერთო სახელმწიფოებრივ საქმეში არ ჩავერევით და პოლონელები მონაწილეობას არ მივიღებთ კენჭის ყრაშიო.

მარკოვი მე-2 აცხადებს: მემარჯვენენი მომხრენი არიან მუხლობრივ განხილვისა, რადგანაც ებრაელობა მოსამართლედ ველარ დადგება და ნებას არ მისცემენ არარუსთ თავისებურად ლოცვისასაო.

მეორე მუხლის შენიშვნა, რომელიც გლეხთა სასტანიცო სასამართლოთა დატოვებას მოითხოვს, მიიღეს 147 ხმით 65 წინააღმდეგ. სათათბირო იწყებს სათემო სასამართლოთათვის შემუშავებულ დროებით წესების მუხლობრივ განხილვას.

რამდენიმე მუხლი მიიღეს შემთანხმებელ კომისიის რედაქციით.

ჩერნოსვიტოვი მეხუთე მუხლის პირველ პუნქტის შემდეგ რედაქციას უდგენს: მოსამართლეებად არ უნდა ირჩეოდნენ სამართალში მიცემულნი ბოროტგანზრახვისათვის, ქურდობისა და თაღლითობისათვის დასჯილნი, სხვისი საკუთრების მიმთვისებელნი, ქურდების მფარველნი, ნაქურდალის მსყიდველნი, სხვისი ქონების მფლანგველნი, თუნდაც ნაპატიები ჰქონდეთ დანაშაული. ამაზე ვრცელი პუნქტი შემთანხმებელ კომისიას მიუღია, მაგრამ მისაღები, ვერ არის, რადგან ციხეში ერთხელ მჯდომთა და გამომძიებელთა ხელში მყოფთა ნებას არ აძლევს მოსამართლეებად დადგომისას; უსამართლოა ასეთი პუნქტი, რადგანაც ეხლანდელ დროებში ციხეში ყველა კაი ხალხი მჯდარაო.

მომხსენებელი **შუბინსკი** საბოლოო სიტყვას ამბობს. ჩერნოსვიტოვს კარგ ხალხად მიაჩნია თაღლითობისა და ქურდობისათვის დასჯილნი და სხვა და სხვაო.

კენჭის ყრის გამო ილაპარაკა ისევ ჩერნოსვიტოვმა. მომხსენებელმა ჩემი შესწორების განმარტების დროს ისეთი მოხერხებული რამ ჩაიდინა, რასაც შულერობა ეწოდებაო.

თავმჯდომარემ ამ სიტყვების გამო ჩერნოსვიტოვს წესიერება მოაგონა და სტენოგრამა რომ წაიკითხა, წინადადება მისცა სათათბიროს, ორი სხდომიდან გამოვრიცხოთო.

ჩერნოსვიტოვი თავის შესწორებას და შუბინსკის განმარტებას უპირისპირებს და თავს იმართლებს.

კენჭის საყრელად წამოაყენეს ჩერნოსვიტოვის განდევნის საკითხი.

მემარცხენეებაა ხმაურობა და აურზაური ასტეხეს. აქეთ-იქიდან იძახიან: დაჰკარგეთ აქედან მომხსენებელი შუბინსკი, გააგდეთ შულერი, არამზადა, ფლიდიო, შულერს წესიერება მოაგონეთ! ნებას არ მივცემთ ილაპარაკოსო“ და სხვა.

სათათბირომ 125 ხმით 86 წინააღმდეგ ორი სხდომიდან გამორიცხა ჩერნოსვიტოვი. ამის გამო ხელმეორედ ასტყდა ხმაურობა და ბრახუნი.

გეგეჭკორი სათათბიროს წესდების დარღვევის გამო აღნიშნავს: თავმჯდომარეს თავისი მოვალეობა ვერ აუსრულებია, თუ შუბინსკის წესიერებას არ მოაგონებს, რადგან ჩერნოსვიტოვის საქციელი შუბინსკიმ გამოიწვიაო. თუ უკანასკნელს ჯეროვნად არ დასჯით, მემარცხენეები ნებას ვიტოვებთ თავისუფლად მოქმედებისასაო.

მემარცხენენი ტაშს უკვრენ, თან უძახიან: შუბინსკი შულერია! აბა, სტენოგრამა ნახეთო“ და სხვა.

თავმჯდომარე ზარსა ჰრეკს და დამშვიდებას ურჩევს დეპუტატებს. თავმჯდომარე სტენოგრამის გადასასინჯად ადგილს სტოვებს და მის მაგივრად **თ-დი ვოლკონსკი** თავმჯდომარეობს.

სხდომას განაგრძობენ.

ყოველ მუხლის განხილვის დროს, როცა ტრიბუნაზე მომხსენებელი **შუბინსკი** ადის, მემარცხენენი ყვირიან, ხმაურობენ და იძახიან: „გაეთრიოს ეს შულერი, დაიკარგოსო!“ და ლაპარაკს არ აცლიან.

ხმაურობა თან და თან სუსტდება.

თავმჯდომარე როძიანკო დაბრუნდება.

მეხუთმეტე მუხლის გამო პახალჩიკი იცავს შესწორებას, სათემო სასამართლოებს კანცელარიის ხარჯად წელიწადში 75 მანეთი უნდა გადაიდოსო.

თავმჯდომარემ უკანასკნელი სიტყვის ნება მისცა მომხსენებელს. როგორც კი ტრიბუნაზე **შუბინსკი** გამოჩნდა, მემარცხენეები ახმაურდნენ: „ძირს, ძირსაო“ ყვიროდნენ.

გეგეჭკორი ადგილიდან შუბინსკის ეუბნება, პროვოკაციას ეწევითო.

შუბინსკიმ თავისი აზრის დასკვნა სთქვა, მაგრამ მემარცხენეთა ხმაურობას გამო, არავის არ გაუგონია.

მეხუთმეტე მუხლი ახალი რედაქციით მიიღეს.

თავმჯდომარე აცხადებს: გეგეჭკორის განცხადების გამო, თავმჯდომარემ წესდება დაარღვიაო, სტენოგრამა წავიკითხე. იქ შუბინსკის შეურაცხმყოფელი არა უთქვამს რა, მაგრამ ჩერნოსვიტოვის სიტყვის შუბინსკისებურად განმარტებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ინციდენტი ამით გათავებულად გამოაცხადა.

ცენტრელები ტაშს უკვრენ.

მემარცხენენი ყვირიან: შუბინსკის წესიერება მოაგონეთ; ჰაშ, ჩერნოსვიტოვი რისთვის განდევნეთ?

ოცდამეოთხე მუხლში **მოლოდცოვის** წინადადებით სიტყვები „სათემო სასამართლოთა მწერალი“ შესცვალეს „სათემო სასამართლოთა მდივნად“.

ამ თანამდებობის პირს უეჭველად ერთკლასიანი პირველდაწყებითი სასწავლებელი მაინც უნდა ჰქონდეს გათავებული.

შემდეგი სხდომა მოხდება 19 მაისს.

საუკუნეთა ლეგენდები ჩვენს უახლოეს ლიტერატურაში.

„მედეია და მშვენიერი ელენე“ ა. შანშიაშვილისა.

(დასასრული)

IV

ბევრს ეგონებათ, ვითომც შანშიაშვილის დემეტრიკა სანტიმენტალური კურტიზანკაა, რომელსაც ყველა თავის ხელთათმანისავით მოიხმარდა, მაგრამ ეს ასე არ არის. თუ მართლა ასე ყოფილიყო, რაღა ფრიქსს ამოირჩევდა? ჩვენ ვიცით, რა ნაზი ქმნილებაა ფრიქსი, ის ჯერ კიდევ ყმაწვილია, ნორჩი, განა დემეტრიკასთვის საკმარისი იყო ეს მოტიტინე ბავში? განა მაზე ძლიერნი აღარ იპოვებოდნენ მეფის სასახლეში? იყვნენ და ან როგორ არ იქნებოდნენ, მაგრამ დემეტრიკას მაინც ფრიქსი უყვარს.

რად? ეს ჩვენი საქმე არ არის. სიყვარულის საიდუმლოების ბჭეს თვით მოტრფიალეც ვერ აგიხსნით, არა თუ გარეშე პირი, რომელიც მათ თვალს ადევნებს! დემეტრიკას შეეძლო ღამის ორგიებს გაჰყოლოდა, შეეძლო კლეოპატრას ვნებანი მარჯვნივ და მარცხნივ მოწყალეობისავით გაეცა, მაგრამ მან არ ჰქმნა ეს, იმიტომ, რომ ფრიქსისგან არის დატყვევებული, რომელთაც რაღაცა მანქანებით თითქოს თავისი კულულა თმების ნაწნავებით გადაბმულიყო! რა ვუყოთ, თუ შემთხვევამ ანუ გარემოებამ თავის მეუღლე-მეფის მორჩილება მიუწესა მას, მას შეუძლიან ეს შემაერთებელი ჯაჭვები გასწყვიტოს და უქმ ხალხისგან მორალის კერის ბჭეზე წარწერილი სიტყვები: „თქვენ ვერ გაიმარჯვებთ“! შესცვალოს: „დიახ, გავიმარჯვებთ“!

დემეტრიკა თავის შემეცნებაში სცხოვრობს როგორც სრული, რომლის ცხოვრების თვითეული აქტი განზრახულ მიზნის განსაკუთრებულ ფაზას წარმოადგენს. იგი ყოველისფერით სარგებლობს, რასაც დრო და გარემოება ხელში აძლევს, რათა თავის შინაგან „მეს“ მისცეს სახე და მეტყველება. მხოლოდ ფიქტიურ ღმერთს მორალს შეუძლიან უბრალო მომაკვდავთა ხელმძღვანელობა, რომელიც ფორმალურად მაინც ჩაჰკლეს თავიანთი შინაგანი „მე“. დემეტრიკა შორსა სდგას ასეთი ფორმალიზმისგან, არ ანგრევს თავის თავში „მეს“, რომელსაც ისე ემსახურება, როგორც მორწმუნე ქურუმი თავის კერპს, მხოლოდ მას ერთს სცნობს, მისთვის ეძლევა თავდავიწყებას და უკვე სულიერად მასთან შერთული გაბრუებული ეძლევა ორგიის დამაყრუებელს ქარიშხალს და ბოლოს თვით ინდივიდუალიზმის პათოსამდენაც კი მიდის!

განა იმაზე მეტი სხვა მსხვერპლი შეიძლება, როდესაც დემეტრიკა ივიწყებს თავის დედოფლობას და როგორც უკანასკნელი ფეხთამტვერი, როგორც მხევალი თავის ბატონის წინაშე, ისე ემხრობა და ქმუდარება ფრიქსს და მისგან, როგორც მეფე-პანისგან, ითხოვს შეწყალებას? ლირსეულ მხატვრის კალმითა აქვს ჩვენს მგოსანს ეს ადგილი გადმოცემული: დემეტრიკას პსიხოლოგიური ცვალებადობა, ხან შეგნება თავისი ვინაობისა და ამით გამოწვეული ამპარტავნება, ხან თავ-დავიწყება და მის ფეხთა ქვეშ ჩავარდნა—აი ის ძლიერი ტალღათა რუელადა, რომელიც ზღვის აბობოქრებულ მიმოქცევას ჰგავს მის მჩქეფარე პოეზიაში. აჰა, თქვენ თითონ გასაჯეთ: რას ჰხედავთ ამ პსიხოლოგიურ სიტუაციაში: დემეტრიკა ჩაეკონება ფრიქსს, მაგრამ ოდესაც იგი მოიშორებს და გადაჭრით ეტყვის, რომ არ შეუძლიან ნებას დაჰყვეს, რადგანაც ელე უყვარს, დემეტრიკა გონ-დაკარგულ ფურიასა ჰგავს, მზად არის ბრჩხალებით ყელში წასწვდეს და უკანასკნელ სულთა თქმა შეკრული ხმით, მძაფრის გაბრძოლებით შესძახებს:

„წა, აქედან გამეცალეო“!

უეჭველია, ფრიქსმაც ამ დროს კარებს მიაშურა, მაგრამ ველური გულიდან ამომხდარი სიბრაზე ქარიშხალისავით მოსწყდება და თითქოს უდაბნოში ჩაიკარგება, დემეტრიკა ეძლევა ხელახლად თავდავიწყებას, იგი მთელს მსოფლიოს მარტო ფრიქსის სახეში ჰხედავს და თითქოს საჭეფო დიადების ნაცვლად ძონძებში მდგარი მათხოვარი ყოფილიყოს, სასოწარკვეთილი შესძახებს:

„დარჩი, დარჩი... ნუ მიდიხარ... დაივიწყე, რაც მოხდაო“!

არა, ეს უბრალო მელო-დრამატიული დეკლამაცია კი არ არის, არამედ ტრაგედია, ტრაგედია განწირული სულისა, რომელსაც ხსნის იმედი აღარსადა აქვს. ფრიქსმა უარ ჰყო, ფრიქსმა—ამ მის სათაყვანებელმა პანმა ბაბილონში გაშენებულ მის ვნების წალკოტს ულმობელ ხელით ჩაუქკნო პირშეპობილი ყვავილის კუკურები.

მაგრამ თვით ავტორს მოვუსმინოთ:

„ელე გიყვარს? ახლა მესმის! **წა, აქედან გამეცალე!**
ნუ მიდიხარ! ნუ მიდიხარ!.. მითხარ, დაზე ვით გამცვალე?
ხომ იცოდი, რომ მიყვარდი, შენთვის ასე შევიცვალე!..
არა, არა, დარჩი! რისხვა სულ ამაოდ გულს ამომხდა;
მეყვარები სულით, გულით, **დაივიწყე რაც კი მოხდა...**
ხედავ, შემკულს სარეცელსა? ხედავ, შენთვის განმზადებულს?
ძვირფას ქსოვილს გადაგფენ, **დაგაკონებ გულს ანთებულს.**
ვუბრძანებ და დააკმევენ შენთვის კეთილ-სურნელებას,
სიამისა ქსელში გაგხვევ, თვითვე მოხვალ აღტაცებას...“
და სხვა. (გრდ., 300 გვ.).

როგორც ჰხედავთ, აქ შანშიაშვილი წარსდგა ჩვენს წინ არა როგორც მარტო მხატვარი, რომელიც მხოლოდ მშვენიერების საზღვრებში იკეტება, აგრეთვე როგორც **პსიხოლოგიც.** იგი ერთსა და იმავე დროს ჩვენს გარე გრძნობებსაც აკმაყოფილებს ეფექტიურ სურათის დახატვით და ამავე დროს სულიერადაც აღგვაფრთოვანებს, როდესაც დემეტრიკას შინაგან გრძნობათა ცეცხლის ალს მეტად მარტივი და სადა ფერებით გადმოგვცემს: „წა, აქედან გამეცალე!“—აი, მომენტი შურით აღსავსე დედაკაცისა, რომელსაც თავისი თავის შეგნება გაეღვიძა, რომ იგი დედოფალია და მოწყალებას ითხოვს; „ნუ მიდიხარ, ნუ მიდიხარ!“—აი მომენტი თავდავიწყებისა, რომელიც, ვინ იცის, უნებურადაც ამოხდა გულიდან, როგორც პითიას თავის ღმერთის წინ; „არა, არა! დარჩი! რისხვა სულ ამაოდ გულს ამომხდაო“, აი მომენტი შენანებულის ცოდვილისა, რომელიც შეწყალებას და შეწყნარებას მოითხოვს თავის მეფისგან! და ეს სულ ერთსა და იმავე დროს! ერთსა და იმავე ადგილას! ერთსა და იმავე საჭურჭლეში! ამ გვარად სუყველას ერთად მოთავსება თავის თავში მართლაც რომ მარტო რჩეულთ შეუძლიანთ, სალსა, ძლიერსა და სრულს.

აქ ადგილი ჰპოვა ჰამანის (1730—80 წ.) მსოფლმხედველობამ, როდესაც ამბობდა იგი:

„ბუნება მხოლოდ გრძნობათა და ვნებათა ძალით მოქმედობს. რა შეუძლიან ადამიანს, რომელსაც ეს ორგანოები წაჰხდომია: თქვენ ძალათი იღუნებით იმ ძარღვებს, რომელთაც მუშაობა შეუძლიანთ. თქვენ გნებავთ ბუნების გამგებლობა და ამავე დროს ხელფეხს იბორკავთ? თუ რომ ვნება უპირატესობის ორგანოდ მიგაჩნია, მაშინ თქვენს მამაცობასაც უსპობთ სალსარს გამარჯვებისას! ერთად-ერთი ვნება იძლევა აბსტრაქციას, ერთად-ერთი ვნება გვაძლევს ხელს, ფეხს, თვით ფრთებსაც! მხოლოდ ვნება უდგავს სულს, ენას, თვით სიცხოვლეს ყოველს სახესა და სიმბოლოს! გული უენებოდ იგივეა, რაც თავი უაზროდ“ *)

მიუხედავად იმისა, რომ ეს დებულება მეტად ბუნდოვანია, ჩვენ ადვილად მივხვდებით, თუ კი დავაკვირდებით, რომ ჰამონი ეტრფის სალს ადამიანს, ძლიერი ინსტიკტებით აღჭურვილს, რომელსაც ნიცშე **ზეკაცის** სახით შესტრფოდა და რომელსაც ანვითარებს ჩვენს დროს სტანისლავ პშიბიშევსკი.

მაგრამ იძლია დემეტრიკა. იგი უარყოფილია. ფრიქსმა გააუდაბნოა მთელი გრძნობათა სალარო. ეს სიცალიერე წელ-წელა უფრო ფართოვდება, მაგრამ ყრუ უდაბნოს გრიგალის ორკესტრი შესცვლის თვისი არეულ-დარეული ხმებით და ჩვენ ვხედავთ მოცეკვე სიკვდილს, რომლის დღესასწაული შურისძიებაში იხატება.

„ვაი იმას, ვინც თავის გულში უდაბნოს ატარებსო“, სთქვა ნიცშემ ზარატუსტრას პირით (ზარატუსტრა, გვ. 449). დემეტრიკა იძულებულია თავისი ხელით დაანგრიოს თავის სამლოცველოს დამამშვენებელი კერპი, ხსნა მხოლოდ ერთი სიკვდილია, რომ თავის გაუდაბნოებულ გულში დამცინავ ბედის ორკესტრს ჩაუხშოს ხმა. და აი, სწორედ აქ იჩინა ემპედოკლეს კოსმოსი მეორე მხარემ:

„იოკაჰან, შენ რომ ერთხელ შემოგეხედნა, უსათუოდ შემიყვარებდი“. შეუძლიან დემეტრიკას სალომეს სიტყვებით უცვლელად მიჰმართოს ფრიქსს, რომელმაც თავის გასამართლებლად ის წამოაყენა, რომ „**ძალო ხარ და დედოფალი**“, როგორ შეიძლება, რომ ჩვენ შევერთდეთო. დიდი აზრია დამარხული დემეტრიკას პასუხში, მართალია, იგი ძალოა, მაგრამ განა თითონ კი არ ებრძოდა თავის თავს? განა თავის არსებაში გადეიძებულ ქალს რამდენჯერმე არ შეებრძოლა: მოუსმინეთ თვით დემეტრიკას:

„მეც კი ვცდილობ დაგივიწყო,
მაგრამ ცეცხლი მომეკიდა,
შენზე ვფიქრობ დღე ნიადაგ, სევდა სულსა წამეკიდა.
ჩემო მზეო, ოდეს დამწვი, გულს ისარნი დასად აგე,
ნუ უცილობ, შემიწირე შენთვის ფერფლად დასადაგე,“ (გრდემლი 299).

---

*) იხ. „სახალხო გაზეთი“ № 601.

*) ეს ციტატი ამოღებულია კუნო ფრანკეს „გერმანიის ლიტერატურის ისტორიიდან“, გვ. 307.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ საქართველოს ეგზარხოსის მომავალი **მოგზაურობა:** 20 მაისს, შუადღისას, ტფილისიდან დუშეთს გაემგზავრება საქართველოს სამხედრო გზით საქართველოს ეგზარხოსი ინოკენტი, რომელიც იქიდან ანანურით თიანეთისა და თელავის მაზრებში წავა. გზა-გზა ეგზარხოსი დაათვალიერებს ეკლესიებსა დ სკოლებსა. 20 მაისს დაათვალიერებს: დიღომსა, ნატახტარსა, წილკანსა, საშაბუროს, ბაზალეთს და დუშეთს. 21 მაისს დაათვალიერებს: ყვავილს, შილახვარიანთ-კარს, ანანურს, ჰორტალს, ფასანაურს, ჩირიკს, ჰოქონთ-კარს, მლეთს, კობს, სიონს და ყაზბეგს. 22 მაისს დაათვალიერებს: თუშურსა და თიანეთს. 23 მაისს დაათვალიერებს: ახმეტას, ქისტაურს, ალავერდს, ხორხელს, ოჟიოს, ზემო-ხოდაშენს, იყალთოს, აწყურს, რუისპირს და ვარდის-უბანს. 24 მაისს დაათვალიერებს: თელავსა და წინანდალს. 25 მაისს დაათვალიერებს: კურდღელაურს, შუამთას, გომბორს და უჯარმას. 24 მაისს ეგზარხოსი მლოცველი იქნება თელავში. 25 მაისს, სალამოს, ტფილისში დაბრუნდება.

◆ **სავაჭრო ბანკის** დამაარსებელნი უკვე შეუდგნენ ბანკისთვის შენობის ძებნას. ბანკის აქციებზე ხელის მოწერა სწრაფად სწარმოებს. მოაწერეს ხელი 3,600,000 მან. აქციებზე.

◆ **სეირნობა.** დღეს, 19 მაისს, მუშტაიდის ბაღში დიდი სახალხო სეირნობა გაიმართება. შემოსავალი გადაიდება ისეთ სიმპატიურ დაწესებულებისათვის, როგორიც არის სახალხო უნივერსიტეტი. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ სეირნობას ხალხი ბლომად დაესწრება.

◆ **ბაქოს ქალაქის მოურავის** თანამდებობაზე, სხვათა შორის, ასახელებენ ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსანს, ოლგას სახებით ინსტიტუტის დირექტორს ა. რ. ფიშერს.

◆ **ალექსანდრეს ბაღში** 20 მაისიდან, ოთხშაბათობით და შაბათობით, სამხედრო მუსიკა დაუკრავს.

◆ მაისის 20 და 21 ქართველ ქალთა ამხანაგობის სამკერვალო სკოლაში გამოფენილი იქნება მოწაფეთა ხელსაქმე და ქალთა შეკერილი ტანისამოსი. გამგეობა ზემოხსენებული საზოგადოებისა იმედოვნებს, რომ ქართველი საზოგადოება უყურადღებოდ არ დასტოვებს მოწაფეთა ნაშრომს. გაბაანთ ქუჩა № 3.

◆ **ორი ქალის მოკვლა „მონაკო“-ს სასტუმროში.** ვაცნობებთ მკითხველთ დაწვრილებით ცნობებს ამ მკვლელობის შესახებ: 11 მაისს „მონაკო“-ს სასტუმროში (ყორღანოვის ქუჩა) დადგა მზარეული-ქალი ეფემია კიტაევისა თავის დობილ სოფიო კაზიშვილთან ერთად. ორივე ქალი 22 წლისანი იყვნენ. ეფემია კიტაევისას ამ ორის კვირის წინად ჰქონდა თავი განქებებული თავის ქმარ მათე კიტაევთან, რომელიც მზარეულად იყო კერძო ოჯახში. მათე კიტაევი 17 მაისს, დილის 7 საათზე, მივიდა სასტუმროში, შევიდა იმ ნომერში, სადაც ამ დროს ერთად ეძინათ მის ცოლსა და ცოლის დობილსა და ორივენი გააღვიძა. ამის შემდეგ ცოლს თხოვნა დაუწყო, სახლში წამოდიო, მაგრამ ქალმა უარი უთხრა. გაბრაზებულმა კაცმა კალმის დანა ამოიღო და ცოლი რამდენსამე ალაგას, სხვათა შორის, ყელშიაც, სასიკვდილოდ დასჭრა. ამის შემდეგ სასიკვდილოდვე დასჭრა კაზიშვილის ქალიც. მათე კიტაევი შეიპყრეს. მან განაცხადა, ცოლი მღალატობდა, ხოლო კაზიშვილის ქალი ჩემს ცოლს მაჭანკლობას უწევდაო. გუშინდელ ნომერში შეცდომით გვქონდა დაბეჭდილი, მკვლელობა „კაზინოს“ სასტუმროში მოხდაო.

◆ 1 მაისს ტფილისში, კახეთის ქუჩაზე, სოფელ საგარეჯოს მცხოვრებ ივანე იაკიმეს ძის ალექსაშვილის (54 წლისა). გვამი იპოვეს და მიხეილის საავადმყოფოში წაიღეს

◆ 17 მაისს ტფილისში 32 უპასპორტო შეიპყრეს.

საზოგადოებანი და კრებები.

◆ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება 17 მაისს მოხდა. საბჭომ 550 მან. დახმარება დაუნიშნა ქალაქის გამგეობის მოსამსახურედ ნამყოფს ქუმსიევის ქალს და წალკის წყალსადენის საკითხის განხილვას შეუდგა. კამათმა ღამის პირველ საათამდე გასტანა, რის გამოც საბჭომ ველარ მოასწრო განხილვა სარევიზიო კომისიის განცხადებისა, რომელიც ხუნუნც-არღუთინსკის ინციდენტს შეეხება. წალკის წყალსადენის საკითხის ვითარება ასეთია: ქალაქის საბჭოს დავალებით კარგა ხანია ინჟ. მეტცმა წალკის წყალსადენის პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა შეადგინა, ინჟ. მეტცს პროექტში სამი ვარიანტი აქვს ნაჩვენები. პირველის ვარიანტის განხორციელება 6 მილიონი მანეთი დაჯდება, მეორისა—11 და მესამისა—17 მილიონი. ამ ჟამად ქალაქის გამგეობას განუხილავს მთელი მასალა წალკის წყალსადენის შესახებ და საჭიროდ უცვნია, მოწვეულ იქმნას გამოცდილი კაცი ერთ-ერთის ვარიანტის ასარჩევად და საჰიდრავლიკო სადგურის საკითხის გამოსარკვევადაც. ხსენებულ კაცის მოსაწვევად წინასწარ სამუშაოს შესასრულებლად 25,000 მან. უნდა გადაიდოს. ამ აზრს მიმხრობიან სატეხნიკო და საფინანსო კომისიებიც. გამგეობის დადგენილება საბჭომ დაამტკიცა.

◆ **საკომერციო ცოდნათა გამავრცელებელ საზოგადოების** წევრთა საერთო კრება 17 მაისს მოხდა თანამდებობის პირთა ასარჩევად. არჩეულ იქმნა სამზრუნველოს საბჭოს ერთი წევრი—ბ-ნი ლიბერმანი. გამგეობის წევრებად არჩეულ იქმნენ, თავ. ნ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, ქ-ნი ნუნუფაროვისა და ბ-ნნი: ნ. მახათაძე, ტერ-დავიდიანი, შავერდოვი, გაზაზიანცი და ტერ-დავიდოვი. სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ; ბ-ნნი პოდგორსკი, ნეფტონოვი, ტერ-დავიდიანცი, ლანდია და ახვლედიანი. მიღებულ იქმნენ საზოგადოების ახალი წევრნი—ორას კაცზე მეტი.

◆ **ქალაქის [illegible] კომისია** ქალაქის ბაღების მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვის შედგენას შეუდგა.

◆ **ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიის** კრება დღეს მოხდება სამუნიციპალო სასკოლო მუზეუმისა და სასკოლო შენობების პროექტების განსახილველად.

◆ **ახალი საზოგადოება.** ტფილისში არსდება „ხარფუხის კულტურულ განმანათლებელი საზოგადოება“, რომლის წესდებაც გუბერნატორს უკვე წარედგინა დასამტკიცებლად. საზოგადოების დამაარსებელნი არიან: ა. ნ. მილოვი, ა. მ. ტერტეროვი, ი. გ. სულაბერიძე, ა. ი. ხატისოვი, ა. ვ. მილოვი, ლ. ხ. ნეგაფტოვი და ი. გ. ბასტიანწოვი.

სასამართლო.

◆ **ტფ. ოლქის სასამართლოს სესია,** რომელიც ახალ ქალაქს იყო წასული საქმეების განსახილველად, ტფილისს დაბრუნდა.

◆ **ვერმიშევის საქმე.** დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, რომ სენატმა გააუქმა ტფილისის სამოსამართლო პალატის განაჩენი „ბაკინსკია იზვესტიას“ რედაქტორ ვერმიშევის თაობაზე. ვერმიშევს პალატამ 129 მუხლის ძალით ციმბირში გადასახლება გადაუწყვიტა. საქმე ხელმეორედ განსახილველად იმავე პალატას დაუბრუნეს.

თელავი

◆ **ს. წინანდალი.** თავი ჩამოიღრჩო გლეხის გიორგი მსუქნიშვილის ცოლმა ნინომ. მიზეზი არ იციან.

სიღნაღი

◆ **თავ. სოსო ვაჩნაძის მოკვლის** გამო შეპყრობილ იქმნენ სიღნაღის მცხოვრები გიორგი ალადაშვილი და ბაკურციხის მცხოვრები სანდრო ლუაშვილი. პოლიციის ცნობით, ვაჩნაძე გაძარცვის განზრახვით მოჰკლეს.

დუშეთი

◆ **ს. ცხავათში** პავლე გოგიჩაშვილმა ჩხუბის დროს ქვით მოჰკლა გაბო გოგიჩაშვილი.

ჟურნალისტის დღიური.

61.

უაზრო ბრძოლა.

ყველას ძალიან კარგად მოეხსენება, რა თვალით უცქერიან როგორც ბიუროკრატია, ისე სახელმწიფო სათათბიროში გამეფებული ყველა ჯურის ნაციონალისტები არა რუსთა სკოლებს. ბიუროკრატიასა და სათათბიროს ნაციონალისტთა შორის სრული სოლიდარობა დამყარ-

და ამ სფეროში და ერთად მიდიან იერიშით არა რუსთა სკოლებზე. რა თქმა უნდა, ამის შედეგს ჩვენც კარგად ვიწვნევთ. მაგრამ ასეა თუ ისე, ჩვენში მაინცა მოქმედობს პროგრამა, ეგრედ წოდებული 81 წლისა, რომელიც მასწავლებელს საშუალებას აძლევს შეასწავლოს ბავშვებს როგორც თავისი სამშობლო ენა, ისე რუსული. ეს პროგრამა ნამესტნიკმა დაამტკიცა, და ადგილობრივ სამოსწავლო მთავრობას ვერ შეუძლიან, ოფიციალურად მაინც, მის წინააღმდეგ წავიდეს. მაგრამ უაზრო ბრძოლის ჟინი იმდენად ძლიერა აქვთ გამჯდარი ძვალსა და რბილში ჩვენებურს დიდსა და პატარა მოხელეს, რომ ფაქტს ვერ შერიგებიან და მხოლოდ უნდათ ძირი გამოუთხარონ პროგრამას, რომელიც თავის თავად დიდს არაფერს წარმოადგენს, მაგრამ რომელიც ცოტაოდენ გასაქანს მაინც აძლევს სამშობლო ენას.

სახელმძღვანელოებზე მოგახსენებთ. უტყუარი ფაქტია, რომ ადგილობრივი სამოსწავლო უწყება ცხადს თუ არა, დაფარულ ბრძოლას მაინც უცხადებს ისეთს სახელმძღვანელოებს, რომელთაც ცოტაოდენი კავშირი მაინცა აქვთ სამშობლო ენასთან. საქართველოს სკოლებში ამეფებს ისეთს სახელმძღვანელოებს, რომელნიც ვერაფერს მისცემენ ბავშვებს. ამ სტრიქონების დამწერს შემთხვევა ჰქონდა ენახა ერთი სამინისტრო სკოლა. მასწავლებელმა გულის ტკენით გადმომიღო დავისის სახელმძღვანელო და მითხრა, რა ვქნა, მე გოგებაშვილის „რუსკოე სლოვო“ დავიბარე და იმათ კი აი, დავისის სახელმძღვანელო გამომიგზავნესო. დავისის სახელმძღვანელოში კი როგორც ნახატები, ისე მასალა აღებულია რუსულ ცხოვრებიდან. მრავალი ისეთი სურათია, რომელსაც ჩვენებური ბავშვი ვერც კი იცნობს. რა თქმა უნდა ამისთანა პირობებში ნახატებსაც თავისი მნიშვნელობა ეკარგება. ყველაზე საცინელი ის არის, რომ სახელმძღვანელო, რომელიც მხოლოდ შიდა რუსეთის ბავშვებთათვის თუ იქნება გასაგები, არა რუსთა სკოლებისთვისაა დანიშნული. თქმა არ უნდა, ეს სახელმძღვანელო პოლიტიკურის მიზნითაა შედგენილი და სამოსწავლო მთავრობაც პოლიტიკანურის მიზნით ურჩევს მასწავლებლებს მის ხმარებას. იქნება შედეგი გაინტერესებთ? ველაპარაკე შეგირდების მშობლებს, რომლებმაც შემოსჩივლეს, ძალიან ცუდი მასწავლებელი გვყავს, ბავშვებს ვერაფერი ასწავლაო. რათ არის ცუდი მასწავლებელი მეთქი, შევეკითხე. პასუხად აი რა მივიღე: როგორ არ არის ცუდი: რუსულად კითხულობენ და წაკითხული კი ჩვენთვის ვერ უამბნიათო. განა ასე უნდა იყოსო, გულ-უბრყვილოდ შემეკითხა ერთი მშობელი.

ეს კერძო შემთხვევა არ არის. დაათვალიერეთ სამინისტროს სკოლები, სადაც სალ პედაგოგიკის მოთხოვნილებანი განდევნილია, სადაც გარუსების პოლიტიკისთვის სამსხვერპლო გაუმართავთ და ლოდიკაც, სამართლიანობაც, სალ პედაგოგიის პრინციპებიც ამ სამსხვერპლოზე დაუწვამთ,—დაათვალიერეთ ეს სკოლები და დარწმუნდებით, რომ რა უაზროდ ებრძვის ადგილობრივი ბიუროკრატია 6—7 წლის ბავშვებს.

შინაური.

იაკობ გოგებაშვილის ავადმყოფობის გამო

17 მაისს, საღამოს 8 საათზე, ექიმებმა ქიქოძემ, მარკევიჩმა და ჩუდნოვსკიმ დიდი ხნის თათბირის შემდეგ ავადმყოფის შესახებ შემდეგი დასკვნა გამოიტანეს: საერთოდ ავადმყოფი უკედ არის, აუცილებელ საჭიროებას არ შეადგენს ნაწლევების ოპერაცია; შემდეგ კი ავადმყოფი ტერაპევტიულ საშუალებებით უნდა განიკურნოს; ავადმყოფის ექიმობა მიანდვეს მხოლოდ ექიმ ქიქოძეს.

შემოწირულება

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას შემოსწირეს სეირნობისთვის:

31. ნინო და თამრიკო დიასამიძეებისაგან: ვაზა და 2 საწიგნობელი (ეტაჟერკა), 32. თამარ სპირიდონის ასულმა ვაწაძემ: ნაკერი ბალიში, 33. მარიამ გიორგის ასულმა ერისთავმა: 3 საყელო, ერთი ქუდი, არდაგი, ერთი ხელსაწმენდი. 34. ვას. გერ. ბერელაშვილმა 15 ბოთლი ღვინო. 35. (ელენე მატარაძის სიით): მიასნიკოვმა: 5 ყუთი გილზი. 36. კობახიძემ: ერთი ვაზა, ერთი სანემსე და ერთი ხის ვედრა. 37. ბაჯიევმა: ვერცხლის საყურეები. 38. მამულოვმა: რეზინის ქამარი და საჭაპირისე, ბენგალის ცეცხლი, 7 ღია ბარათი და 6 გულის ქინძისთავი. 39. გულიევმა 5 წიგნაკი. 40. გიორგი მაჭავარიანმა: 2 ბოთლი ღვინო. 41. ანიკო ნასიძემ: 3 ბოთლი ღვინო. 42. მატინიანცმა: სათამაშო ავტომობილი. 43. ზერძნიშვილმა: ორი წყვილი ფეხსაცმელი. 44. სვანიძემ: ერთი საჟილეტკე. 45. გორნიკმა: ხუთი ტერმომეტრი. 46. ტალანიევმა: ათეული ასანთი. 47. პროვიზორმა ახვლედიანმა: პარფიუმერიის ნივთი 9 ნაჭერი. 48. აკოპიანმა: მინის ძაღლი. 49. გევორკოვმა: 2 ბანტი. 50. იაშვილმა: ერთი კოლოფი პუდრა და ერთი ფიქსატური. 51. ალექსანდრა თალაკვაძისამ— ერთი მანეთი. 52. ანასტასიამ: სასუხრის გადასაფარებელი. 53. მიტროფანე ლაღიძემ: 50 ბოთლი ლიმონათი. 54. მელანია გედევანიშვილმა: ერთი ფინჯანი. 55. ანნა მერკვილაძისამ: ხილის დანები. 56. ივლიტე მერკვილაძისამ: ერთი ფინჯანი. 57. დიმიტრი ლოლაძემ: ხუთი კონსერვი. 58. სოსიკო მერკვილაძემ: ერთი ბრინჯაოს საწერელი და ორი კალმის დასაწყობი იაპონური. 59. ელისაბედ სტალინსკიმ: ათი შაური. 60. (კობახიძის სიით) ილიკო კვინიხიძემ ათი შაური. 61. ადამ ოგანოვმა: ერთი ფინჯანი, შოკოლადი და სამი კოლოფი ასანთი. 62. ანიევმა: ერთი შაური. 63. ძამაშვილმა: ერთი სარდინკა. 64. რალლემ: $2^{1}/_{2}$ დუჟინი ხელის საპონი. 65. „სახალხო გაზეთის“ რედაქციამ: „სახალხო გაზეთი“, სამი ცალი, 19 2 წლისა, სეირნობის დღიდან. 66. კნეინა ეკატერინე მიხეილის ასულმა ერისთავმა: ხუთი მანეთი.

„საზოგადოების“ გამგეობა უღრმეს მადლობას მოახსენებს შემომწირველებს.

კახელ მევენახეთა საზოგადოების „კახეთი“-ს კრება.

16 მაისის სხდომა.

ხალხი ნელ-ნელა გროვდება. საზოგადოდ სხდომებს ცოტა ხალხი ესწრება. არიან გარეშენიც, რომელთაც „კახეთი“-ს საზოგადოების მდგომარეობა აინტერესებთ. კამათი იწყება იმაზე, მიეცეს თუ არა „კახეთი“-ს გამგეობას უფლება სესხის აღებისა,

რ. გაბაშვილს საჭიროდ მიაჩნია, სანამ კრება ამ საკითხს გადასწყვეტამდეს, გამგეობამ წარმოადგინოს დაწვრილებითი გეგმა იმისა, თუ რისთვის უნდათ ეს ფული, ან როგორა ჰსურთ მოიხმარონ.

სვ. ვახვახიშვილი. ბ-ნი რევაზ გაბაშვილი მართალსა ბრძანებს. გამგეობამ თუ თავის მოქმედებას გეგმა არ წარმოადგინა, ცუდად მოქცეულა. მაგრამ ეხლაც შეგვიძლიან გვათვალისწინოთ, თუ რისთვის უნდა გამგეობას ფული. საზოგადოებას მხოლოდ მაშინ შეეძლება ნაყოფიერი მუშაობა, თუ მას ფული ექნება. მოგროვილია ღვინო, იმათ პატრონებს გასწორება უნდა. თუ საზოგადოებას ფული არ ექნება, ვერც მოახერხებს საქმის გაგრძელებას. აი უმთავრესად რისთვის უნდა გამგეობას ფული.

გამგეობის წევრი ლევან ვაჩნაძე განმარტებას აძლევს კრებას და ამბობს, ვერ გამიგია რანაირ გეგმის წარმოდგენას გვთხოვენ ორატორებიო. ფული გვინდა პირდაპირ იმ მიზნის განსახორციელებლად, რომელსაც საზოგადოება წესდების ძალით ისახავს. მიმდინარე ხარჯებს გასტუმრება უნდა, და ჩვენც ამისთვის გვინდა ფულიო.

ამის შემდეგ კითხულობენ გამგეობის მოხსენებას საზოგადოების მართვა-გამგეობის შესახებ. გამგეობის აზრით, საკმარისია არჩეულ იქმნას სამ-წევრიანი გამგეობა. ამათგან ორი წევრი წლიურის ჯამაგირით უნდა იყოს, ერთი კი მხოლოდ სხდომებზე დასწრებისთვის მიიღებს ჯილდოს.

დავ. ვაჩნაძე ვრცლად ეხება საზოგადოება „კახეთი“-ს მოქმედებას და დასასრულ მოჰყავს, რამდენიმე მუხლად ჩამოწერილი, რამდენიმე დებულება, რომელთა მიღებასაც სთხოვს კრებას. დავ. ვაჩნაძეს საჭიროდ მიაჩნია ახალ წევრთა შემატება, განხორციელება იმ საკულტურო მიზნებისა, რომელთაც საზოგადოება წესდებით ისახავს (ამისთვის ორატორს საჭიროდ მიაჩნია განსაზღვრულ პროცენტის გადადება მოგებიდან); სხვათა შორის ორატორმა ის სურვილი გამოსთქვა, რომ ანგარიშები და მოხსენებანი ქართულ ენაზე იბეჭდებოდეს.

ვლ. ვაჩნაძე. წევრთა გამრავლების შესახებ ამბობს, დროა ბოლო მოეღოს იმ შეხედულებას, თითქოს გლეხებს ან წვრილ მესაკუთრეთ ვინმე უშლიდეს ამ საზოგადოებაში ჩაწერასაო. წევრთა რიცხვი მაშინ გამრავლდება, როდესაც ჩვენი საქმე კარგად წავა. მაშინ თითონ შეგვეხვეწებიან წვრილი მესაკუთრენიო.

სვ. ვახვახიშვილი. ბ-ნი დავ. ვაჩნაძე ფრიად საყურადღებო საკითხს შეეხო. არსებითად მისი აზრი მართალია, მაგრამ პრინციპიალურ მართლ თვალსაზრისიდან მას სათანადო დასკვნა ვერ გამოჰყავს. მართალია, ჩვენს საზოგადოებაში მსხვილი მემამულენი სჭარბობენ, და ეს ასეც უნდა იყოს. ღვინის კოოპერატიულ ამხანაგობის დაარსება ყველაზე ძნელია. გერმანიაში, სადაც კოოპერატიული მოძრაობა ძალიან არის განვითარებული, მევენეთა სულ ოთხი პროცენტია შეკავშირებული. ეს ოთხი პროცენტი 200 კოოპერატიულ ამხანაგობად შეკავშირდა. ჩვენი საზოგადოებაც, რომელიც ტფილისში მოქმედობს, ვერ მოახერხებს ისე გაფართოვებას, რომ ადგილობრივ ყველა მწარმოებელნი შეაკავშიროს. მე საქმე ასე მაქვს წარმოდგენილი. ადგილობრივ უნდა დაარსდეს პატარ-პატარა მწარმოებელი კოოპერატიული ამხანაგობანი; ისინი თავიანთ ნაწარმოების გასაღებას თავიანთ ძალ-ღონით ვერ მოახერხებენ. ეს საქმე უნდა იკისროს ჩვენმა საზოგადოებამ, რომლის, წევრებადაც გადაიქცევიან ადგილობრივი მწარმოებელი კოოპერატიული ამხანაგობანი. მხოლოდ ასეთს დეცენტრალიზაციას შეუძლიან გამოაბრუნოს საქმე. ცენტრალიზმი ყველა დარგში მავნებელია და განსაკუთრებით კი კოოპერაციაში.

გრ. რცხილაძე ვრცლად უპასუხებს სვ. ვახვახიშვილს და დასასრულ ამბობს, სანამ ასეთი მწარმოებელი ამხანაგობანი გაჩნდებოდეს ადგილობრივ, საჭიროა ჩვენი საზოგადოებაც შეეცადოს, რომ თავის ამხანაგებს წარმოების გაუმჯობესებაში დაეხმაროსო. დასასრულ ბ-ნი რცხილაძე საზოგადოების მართვა - გამგეობას შეეხო და სთქვა, გამგეობა ახალს არაფერს მოითხოვს თქვენგანაო. ისეთი წესი, რომლის შემოღებასაც გამგეობა გირჩევთ, პრაქტიკამ შეჰქმნა. დამტკიცდა, რომ ამნაირის წესით შეიძლება მართვა-გამგეობა. შუაწელს წესის შეცვლა არა ღირს. მე დარწმუნებული ვარ საზოგადოების მდგომარეობა მალე იმდენად გამობრუნდება, რომ ამხანაგობის რიცხვი გაიზრდება. მაშინ შეგვიძლიან სხვანაირი და უფრო მუდმივი წესი შემოვიღოთ მართვა-გამგეობისა.

ამავე საკითხზე ილაპარაკეს **ქ. ტყავაძემ, დავით ვაჩნაძემ, სვ. ვახვახიშვილმა** და სხვებმა. დიდი კამათი გამოიწვია გამგეობის წინადადებამ, ნება დართოს საზოგადო კრებამ ხელ-შეკრულობის შედგენისა, ჯარიმების აღნიშვნით. **გრ. რცხილაძე** განმარტავს, რომ პრაქტიკამ მოითხოვა ასეთი დადასტურება საზოგადო კრების მიერ. კამათის დასასრულ მიღებულ იქმნა რეზოლიუცია, რომლის ძალითაც საზოგადოების გამგეობას ნება ეძლევა ასეთის ხელშეკრულებების შედგენისა, გამგეობასა და სარევიზიო კომისიის შეერთებულ კრების გადაწყვეტილების თანახმად.

ხელოსანთა საყურადღებოდ.

ყოველი დაწესებულება იმდენად იმადლიერებს ხალხს და იმდენად იმსახურებს საზოგადოების პატივისცემას, რამდენადაც იგი მოწყობილი და მოწესრიგებულია ყოველ მხრივ. ამას, დღეს-დღეობით, ვერ ვიტყვით ტფ. ხელოსანთა სამმართველოზე.

ამ სამმართველოს უპირველესად აკლია საკუთარი ბინა და მოწყობილება. ამას გარდა ხელოსანთა თავს უნდა ჰყავდეს მომზადებული, მცოდნე მდივანი და მომზადებულივე მდივნის თანაშემწე. სამმართველოს საკუთარ ბინაზე უნდა ცალკე ოთახი ჰქონდეს ხელოსანთა თავს, სამმართვეს არქივს, საამქრო დროშებს და სხვა.

ამისათვის ყოველი ძალ-ღონე უნდა მოვიკრიბოთ და ხელოსანთა საკუთარი სამმართველო ავაშენოთ. იქვე უნდა მოთავსდეს სკოლა ღარიბ ხელოსანთა ბავშვებისათვის.

სად ვიშოვნოთ ამისათვის საჭირო თანხა? ჯერ ერთი ხელოსანთა სამმართველოს აქვს საზოგადო თანხა, აქვს აგრედვე უძრავი ქონებაც. ამის გარდა, სინდისიერად საქმის წარმოების დროს, ყოველ წლივ შეიძლებოდა გადაგვერჩინა რამდენიმე ასი თუმანი ცეხების მამასახლისების მიერ წარმოდგენილ გარდასახადებიდან და თვალსაჩინო თანხა შესდგებოდა.

აგრედვე საჭიროა აირჩეს სარევიზიო კომისია, რომელსაც უნდა დაევალოს, წელიწადში ორჯელ მაინც შეამოწმოს კასის მდგომარეობა, საანგარიშო დავთრები, სამმართველოს სხვა საბუთის ქაღალდები და ამქრების უსტაბაშების დავთრებიც.

სასურველია, რომ ამქრის უსტაბაშები რამდენიმე ჯგუფად დაიყოს და თვითეულ ჯგუფს ცალკე კანცელარია ჰქონდეს მოწყობილი საგანგებო საქმის მწარმოებელით.

საჭიროა ამოირჩეს საგანგებო კომისია, რომელიც დაივლის ტფილის და შეადგენს ყველა დარგის ხელოსანთა მთლიანსა და სრულს სიას.

უსტაბაშები მოვალენი არიან ყოველ წლივ რამდენიმეჯერ ჩამოუარონ თავის ამქარს. სიაში ჩაუმატონ ახლად შემატებული ხელოსნები და ამოშალონ დაკლებულნი. აგრედვე ყოველივე ნაკლი სახელოსნოებისა მოახსენონ ხელოსანთა სამმართველოს, რათა თავიდან აცილებულ იქმნეს.

ხელოსანთა თავს უნდა დაეკისროს, რომ ზედ-მიწევნით ასრულებდეს საამქრო დებულების მეთხუთმეტე მუხლს. უსტაბაშებს დაევალოს ყოველ წლის დასაწყისში შეაგროვონ გადასახადი ხელოსნების და შეგირდებიდან და წინა წლის დარჩენილი გადასახადიც განაღდონ; სამ თვეში ერთხელ იმართებოდეს უსტაბაშთა (მამასახლისთა) კრება საამქრო საქმეების განსახილველად.

მდივნის მოვალეობა აწარმოვოს ხელოსანთა სამმართველოს საკანცელარიო საქმეების მთლიანი წარმოება სწორედ და წესიერად—მისი მოვალეობა არ უნდა იყოს არქივის წარმოება.

ხელოსანთა თავი, პოლიციის დახმარებით მოკრებილი ფულს, რომ მიიღებს, სათანადო ბარათი უნდა მისცეს უსტაბაშს (მამასახლისს) ფულის მიღებისა.

ამქრების მამასახლისებს დაევალოს, რომ მხოლოდ 1867 წ. 5 აპრილს გამოცემულ საამქრო დებულებას ემყარებოდნენ.

უნდა იყოლიონ მუდმივი იურისკონსულტები ყველა დარგის ამქრისათვის.

რადგანაც მეტის მეტად დაქუცმაცებულია ამქრები, კარგი იქნება რამდენიმე დარგი შეერთდეს და ამ სახით ამქართა რაოდენობა შემცირდეს...

ხელოსანთა სამმართველოში საქმე დღით, და განსაკუთრებით არჩევნების დროს, სამმართველოში მსახურნი ყველანი კრების დათავებამდე უნდა იყვნენ თავის ადგილას. იმედი მაქვს ჩემ მიერ წამოყენებულ პროექტს ბ. ბ. მამასახლისები და ხმოსნები გაიზიარებენ და ხელოსანთა სამმართველოს ამით ხელს შეუწყობენ და განახორციელებენ მცირე რამეს მაინც ღარიბ ხელოსან-წევრთა სასარგებლოს, ამ სამმართველოს არსებობიდან 45 წლის თავზე მაინც.

ტფ. პარიკმახერთა უსტაბაში
იორამ მხეიძე.

უმამულო რაჭველ გლეხთა გამო.

(წერილი ქუთაისიდან).

წავიკითხე გაზ. „თემში“ ბ-ნ ჯაფარ-რაჭველის წერილი: „დიდის საქმისათვის მცირე ზრუნვა“. ავტორი ეხება უმიწაწყლოდ დარჩენილ რაჭველ გლეხებს და ამბობს: „რაჭველები იძულებულნი არიან ჩრდილოეთ კავკასიას მიაშურონ და იქ თერგის ოლქში საარსებო ლუკმის მიმცემი მიწა ეძებონ. ეს მაშინ, როდესაც ჩვენს ტურფა ქვეყანაში თავისუფალი მიწა ბევრია და მას დღითი დღე იჭერს სხვა, როგორც სჩანს, ჩვენზე უფრო გამჭრიახი ელემენტებიო“ და სხვა... სამწუხაროა ასეთი მოვლენა მაშინ, როდესაც ჩვენი სამშობლოს მიწა წყალს უცხონი იჭენენ და ჩვენი მიწის ათასი წლობით განუშორებელ შვილებს, ვინ იცის, სად მოუხდება ხანმოკლე დღეების დათვლა.

მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს მიუთითო მამულზე; **სოფ. ცუცხვატში** (ქუთ. მაზრა) ქუთაისიდან თერთმეტ ვერსზეა. ეს მამული ეკუთვნის **ალფეზ პავლეს ძე ფარცვანიას** და შეიცავს 79 დესეტინას (200 ქცევამდე) რომელშიაც არის როგორც სახნავი სამოსახლო, საბალახე, სავენახე, საშეშე ტყე, აგრედვე გაშენებულია სანერგე, გაყვანილია საწისქვილე არხები, ბლომად მოიპოვება წყაროები. აქვე არის ოთხოთახიანი ქვითკირის სახლი. ერთი სიტყვით ყოველივე, რაც აუცილებელია მუშაკისათვის. ადგილები სწორედ კარგი მოსავლიანია დ შემკული იმერეთის სიმშვენიერით. ამ მემამულეს დღესაც აქვს მოლაპარაკება კერძო პირებთან და თუ ვინმე აღმოჩნდება შეაკავშირებს გლეხებს და შეიძლებენ მამულის სყიდვას, დარწმუნებული ვარ, შეღავათიან პირობებში დაუთმობს ეს პატივცემული მემამულე გლეხებს. ეს მამული დაგირავებულია ქუთ. სათავად-აზნაურო ბანკში; ესეც დიდ შეღავათს გაუწევს გლეხებს. ვიმეორებ, ასეთ მოხდენილ მამულს იშვიათად შეხვდება ადამიანი, რომ თავისუფალი იყოს და პატრონი ჰყიდდეს.

ვსთხოვ დაინტერესებულ პირთ, მიაქციონ ამ ჩემს წერილს ყურადღება და თუ მსურველნი აღმოჩნდებიან დროზე აცნობონ გაზეთის საშუალებით, ან და კერძო წერილით, ამ **მისამართით:**

ქ. ქუთაისი ორპირის ქუჩა ალექსი ვასილის ძე მოსეშვილს, გადასაცემად მემამულე ალფეზ ფარცვანიასი. **გუბელი.**

მოწერილი ამბები

ს. ქვალონი. (სამეგრელო) თვეზე მეტია, რაც განუწყვეტლივ იწვიმა. ხვნა-თესვა მეტად შეფერხდა. წელს დიდ ძალი მუშა ხელი მიაწვა მიწის დამუშავებას; შარშანდელზე ორი წილი მეტი მიწა აქვთ უკვე დამზადებული, ბევრ ალაგას დათესილიც არის, მხოლოდ ნათესი აღარ ამოდის, რადგანაც წყალი დგას ყანებში. ხელ-მეორედ დათესვა არ ასცილდება.

აქაურ ბაზარს შეადგენს მეტ ნაწილად სამიკიტნოები (არსებობს მაღაზიები აფთიაქის, მანუფაქტურის ბაკალეინის და სხვა) სადაც თავს იყრიან ეგრედ წოდებული ზაქარ-ასტები“ და მთელს დღე და ღამეს ბანქოს თამაშში ალამებენ. არის

დიახ, სცდილობს დემეტიკა თვით თავის გრძნობებს ჩაუკლას პირი, მაგრამ

„რავქნა, გრძნობა მოისწრაფვის.
ხილვა როგორ დამეშალა?
მოგეახლე პირგაბადრულს, სიყვარული ამეშალა. (ibid)

მაშ რას ნიშნავს შაბლონიური თავის მართლება ფრიქსის მხრივ, რომ

„მე ვერ დავსთმობ **ჩემს სინდისსა,**
აკი შენთან დავაბარე,
ძალო ხარ და დედოფალი, ესე
სიტყვა შეიწყნარე“,
(გრდემლი, 229).

ბევრი ვერაფერი თავის მართლებაა, თქვენმა მზემ, აქაოდა ძალო ხარო, უსინდისობათ ჩამომერთმევაო! და სინდისზე ვინ ლაპარაკობს; თავის დის მომიჯნურე! არა, დემეტიკა ასჯერ და ათასჯერ მართალია და გულწრფელი თავის ვნებაში და ოდნავ სიყალბეს ვერ შეიტანთ მის ფიცში, როდესაც ამბობს:

„ვერ დაგტოვო, ვფიცავ ღმერთებს, ვერას გზით ვერ გაგეცალო,
თავი ჩემი სიკვდილს მივსცე, უმალ მზესაც მოვეცალო;
რომ იცოდე, რა სიამით და რა გრძნობით შეგიტკბობდი,
ვერ მიმხვდარხარ, უწინაც კი შენს გარეშე ყველას ვგმობდი...
გიქარგავდი ცხოვრების გზას, ლამით შენთვის ვლოცულობდი“...
(ibid)

ეს აღსარება იმდენად გულწრფელია, იმდენად უზადო, რომ არავითარი მწიკვლი არ შეგვიძლიანთ თუნდ ერთ სიტყვაში აღმოაჩინოთ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მართლა იგი ფრიქსს, „შეატკბობდა“, თავის მსუბუქ „თმის ბადეში“ გაახვევდა და სიზმარში გაყოლებულს.

მოველოდე ყრმა შეიქენ, აწ თმით გიქსოვ სუბუქ ბადეს,
წმინდა ღმერთებს მსხვერპლსა ვწირავ, ჩემთვის გშობეს და დაგბადესო“,
(გრდ. 300).

შორს ველარ წავა ქალის უღრმესი სიყვარული, დემეტიკა თავ-აწყვეტით კი არ მოითხოვს, ახლავე ორგიის ფერხულში ჩავებათო, არა! **ლოდინს დავიწყებ,** მე შენ თმის ბადეს მოვიქსოვ და ვიდრე **შენ ყრმა გახდები,** მე ღმერთებს მსხვერპლს შევსწირავ, რომელთაც ჩემთვის დაგბადესო!

სამწუხაროდ ჩვენმა მგოსანმა ბოლომდის ვერ გამოიჩინა თანდითანობა და სცენიდან მალე მოგვაშორა დემეტიკა, ეს ფრიად საყურადღებო ტიპი, რომელსაც მის პოემებში ყველაზე უპირველესი ადგილი უჭირავთ. ჩვენ მან პირდაპირ ფრიქსის სამსხვერპლოსთან გადაგვიყვანა.

ნუ თუ ეფექტისთვის?

მაგრამ დარწმუნებული უნდა იყვეს ჩვენი მგოსანი, რომ მას ჩვენთვის დემეტიკას სულიერი მდგომარეობა რო დაეხატებინა, რა განიცადა დემეტიკამ, სულიერი დაკმაყოფილება თუ სასოწარკვეთილებამ ჩაუქრო დღენი, უფრო ეფექტიანი სურათი იქნებოდა, ვიდრე ქექა-ქუხილი და ნეფელას გამოჩქარება. რა თქმა უნდა, მე ამ უკანასკნელ სურათის ამოშლას არ ვამბობ, პირიქით, ეს სურათი საჭიროც არის და აუცილებელიც, მაგრამ ეს სურათი თავის დროზე თავის ადგილას იქნებოდა, ხოლო დემეტიკას საიდუმლოდ არ დაგვიტოვებდა უდროოდ ჩამოფარებულ ფარდის იქით. მან უნდა იცოდეს, რომ ეფექტები მარტო სქელ ფერებით არ იხატება, არამედ უბრალო მოთხრობის კილო, თუნდა ვსთქვათ, ისეთი ჰანგით, როგორც იმავე ნეფელას გამომგზავრება:

„კავკასიონის მთას ესმა, უბედურობა ხდებოდა,
ამირანს გული შესტკივდა, ოხვრა გულიდიანხდებოდა,
და გადასძახა ნეფელას“... და სხვა,
(გრდ. 303 გვ.).

სწორედ ამ სადა და მარტივი კილოთი გარდა ჰომიროსი საკაცობრიო ლიტერატურის მამათ მთავარად ხომ გვახსოვს, თვითეულ სურათს რა რიგის თანდათანობით ანვითარებს. მაგალითად, აქილესის ფარს პირდაპირ მთელს კი არ გვაჩვენებს, არამედ ჩვენ თვითონ გვაყურებინებს, ჰეფესტოსი რა რიგი მეცადინეობით სწნავს მას; აიღეთ მეორე სურათი, როდესაც ჰერი გაჩნდება ლაშქარში, აქ ჰომიროსი პირდაპირ კი არ გვეუბნება, ჰერი გაჩნდაო, არამედ მის წინ გვაჩვენებს განრისხებულს ღმერთს, რომელიც ოლიმპიის მწვერვალიდან ძირს ეშვება და თვითეულს ნაბიჯზე ცეცხლის ისრებით ჰმუსრავს იქაურობას. მთელი ფოკუსი კლასიკურ მწერლებისა მომენტების გაგრძელება იყო. ისინი ყოველთვის იმ წუთს გვაჩვენებდნენ, რომელთა გაგრძელება რამდენადმე მაინც შეიძლებოდა. მაგალითად, ტიმომახმა მედეა თავის ბავშვობის მკვლელობის დროს კი არ დაგვიხატა, არამედ ამ საზარელ აქტის მოხდენამდე, როდესაც მედეაში დედობრივი სიყვარული და შურისძიება ერთი ერთმანეთს შეეჯახნენ. განრისხებული აიაქსი იმ დროს კი არ არის დახატული, როდესაც გაცოფებული საქონელს დაეცემა და ამოჟლეტს, არამედ შემდეგ, როდესაც სასოწარკვეთილი გონს მოდის და თავის საქციელს უკვირდება, აი, მართლაც ჩვენ ამ დროს ვხედავთ ჭეშმარიტ მედეას და ჭეშმარიტ აიაქს!

მაშ, სად არის შანშიაშვილის ჭეშმარიტი დემეტიკა, ის დემეტიკა, რომელიც ფრიქსს ეუბნებოდა:

„გული ჩემი შენ ვერ დაგთმობს,
შენთვის არის ცოცხალმკვდარი,
თავს მოვიკლავ! შეისმინე აქა ჩემი
სამუდარი!.. („გრდ. 301 გვ.).

მართლა ფრიქსის დაღუპვას თან გადაჰყვა თუ ისევ ძველს ბედს შეურიგდა?

ჩვენის აზრით, თუ ამ კვანძს არ გამოჰხსნის, მაშინ შ—შვილის დემეტიკა დროული იქნება, სწრაფ-წარმავალი! მე კი მასში ვეტრფი სამარადისო ტიპს! მაშასადამე, საჭიროა მასთან დაბრუნება..

როგორც ჰხედავთ, ჩვენმა ახალგაზდა მგოსანმა მეტად რთულ საგანს მოჰკიდა ხელი. მშვენიერი, ფაქიზი და კლასიკური ენა სრულს საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ბოლომდინ პირნათლად გაუძღვება თავის განზრახვის სისრულეში მოყვანას. მეტად მარტივი ფერადები აუცილებელ რეალისტ მხატვართა შორის ადგილს უთმობს მას, (გაიხსენეთ თუნდა ფიდო, რა რეალურად არის დახატული! მიუხედავად იმისა, რომ ავტორმა ორჯელ თუ სამჯერ ახსენა, იგი ჩვენს ხსოვნაში ღრმად აღიბეჭდა).

ჰელლინიზმის გადმოტანა ისეთივე ნორჩი ძლევაა ჩვენი მგოსნის მხრით, როგორც იმ ახალგაზდა და ნორჩი ხალხის მაჯის ცემა, რომელიც ცივილიზაციის ლამპრის შუქად შეიქმნა. ოღონდ ახსოვდეს მარად, უფრთხილდეს ფილოსოფოსობას, რომ რიტორიკად არ გარდაიქცეს მისი კლასიკური ნაწარმოები.

რამდენადაც ნაკლებად განათლებულია ხალხი, იმდენად მათი ცხოვრება დაშორებულია ხელოვნურ თეორიებს და მეცნიერული ენისაგან, იმდენად უფრო თავისუფალი და მარტივია იგი, იმდენად უფრო თავისუფლებითა ჰბგერს მათი ველური სიმღერები.

ჯერ-ჯერობით ამ საზოგადო ტონს არ უღალატა მან, მცირეოდენი ადგილების გარდა, რომელთა შესწორება სულ ადვილად შეძლება.

იაზონს და რენოს ეხლა არ შევეხებით, მოვუცდით გაგრძელებას. მანამდე კი ვამას ვეტყვით ელლინთა მოწაფეს, ჩვენს ახალგზდა მგოსანს და წერტილს აქ დავსვამთ...

ბრიუსელი. **დ. კახრაძე.**

ერთი აურ-ზაური, უშვერ სიტყვებით ლანძღვა-გინებ-და ცხვირ-პირის მტვრევა.

თუმცალა ჩვენში არსებობს ორკლასიანი სკოლა, მაგრამ სოფლის სიდიდისა გამო ყველა კუთხის მოსწავლე ბავშვებს ვერ იტევს.

არც სამკითხველო გვაქვს. საზოგადოების მოწინავე პირებში დაიბადა სურვილი სამკითხველოს დაარსებისა, რისთვისაც უკვე შეუდგნენ წევრების შეძენას. ჯერჯერობით ოცამდე ჩაეწერა წევრად. ამ საქმისათვის განსაკუთრებით ზრუნავს ცნობილი მემამულე ალექსი ბ. დეისაძე, რომელმაც საზოგადოებას უფასოდ აღუთქვა სამკითხველოსათვის სახლის უფასოდ დათმობა.

განენი.

ს. შილდა (კახეთი). სამწუხაროა ასეთი მოვლენა, რომელიც ჩვენს სოფელსა სჭირს. ჯერ იყო და ძლივს ველირსეთ მეორე მასწავლებელს და ლამის ისევ დავკარგოთ! 1911 წ. სახალხო სკოლების ინსპექტორი დაგვპირდა მასწავლებელს და 1300 მანეთს შენობისთვის ერთის პირობით: თუ ამ 1300 მანეთს სოფელიც დაუმატებდა ამდენსავე—და ამ 2600 მან. ააშენებდა მეორე სასწავლებლისთვის ახალ შენობას. მასწავლებელი იმავე წელს დაგვენიშნა და რადგან შენობა არ იყო მზად, დროებით მასწავლებელი, მოსწავლე ბავშვებით, მოათავსეს ერთ ოთახში სასოფლო „კანცელიარის“ შენობაში. სოფლის ამორჩეულ თორმეტ კაცს, ამავე წელს ჰქონდა თათბირი სკოლის შენობის შესახებ თუ სად და როგორ სჯობს მოწყობა; მიეშენებინათ იგი ძველ სკოლის შენობისთვის, თუ აეგოთ ცალკე? გადასწყვიტეს: დაუთმონ სკოლას სოფლის „კანცელიარის“ შენობა, სახალხო სასკოლო გამგეობისაგან მიცემულ 1300 მანეთს დაუმატონ საქიროების ცაგვარად კიდევ და ამ ფულით ააშენონ „კანცელიარისთვის“ შენობა; შუამდგომლობა აღძრას სოფელმა გუბერნატორის წინაშე, შესაფერ ნებართვისათვის. შეადგინეს შესაფერი განაჩენი და გაუგზავნეს გუბერნატორს. შეიწყნარა გუბერნატორმა მათი თხოვნა და დაამტკიცა. სოფელმა მიიღო სახალხო-სასკოლო გამგეობისგან 1300 მანეთიც. აპრილის უკანასკნელ რიცხვებში 1912 წ. როდესაც „კანცელიარის“ დათმობაზე მიდგა ჯერი, სოფლის ყრილობამ, ერთ-ხმად დაადგინა უარი უთხრას „კანცელიარის“ შენობის დათმობაზე, რადგან სახალხო-სასკოლო გამგეობა შეუკეთებლად არ მიიღებს „კანცელიარის“ შენობას და მის შესაკეთებლად კი დასჭირდებათ ძათ 1200 მ. უარს აცხადებენ მის დათმობაზე სკოლის შენობისთვის თუ სახალხო-სკოლების გამგეობა არ მისცემს მათ ზედმეტს 1200 მანეთს, შესაკეთებლად, გარდა იმ 1300 მ. რომელიც უკვე მიიღეს. უნდა აღვნიშნო რომ ასეთ დიდ სოფელში, როგორიც არის შილდა, არამც თუ ორი მასწავლებელი, არამედ ოთხიც ძლივს გაუძლვება, ისეთი მოთხოვნილებაა სწავლისა და რას ფიქრობს ს. შილდა შემოდგომისთვის, როდესაც ინსპექტორი სოფლის „კანცელიარაში“ მეცადინეობის ნებას არ მისცემს, ათასი დამაბრკოლებელ მიზეზის გამო და შენობის უქონლობით კი იძულებული გახდები ინსპექტორი, ერთი მასწავლებლის ანაბარა დასტოვოს სოფელი? ვის უნდა დაემდუროს ხალხი შემოდგომაზე, 150—200 ბავშვიდან მხოლოდ 20-ის მეტი არ მიიღება ადგილის უქონლობის გამო სკოლაში? სასიამოვნო იქნება, ს. შილდამ მეტი ყურადღება მიაქციოს სკოლის საქმეს, ვიდრე დრო არის და ხელიდან არ გაუშვას ასეთი კარგი პირობები, თორემ შემდეგ გვიან იქნება სინანული.

ამ ორიოდე თვის წინ მოიკრიფა ს. შილდაში 400 მან. საფოსტო განყოფილებისათვის, რომელიც განზრახული იყო გახსნილიყო აქ; რაღაც გამოურკვეველ მიზეზების გამო უკვალოდ დავკარგეთ ხელიდან. დარჩა 400 მან. მაზრის უფროსთან, რომელმაც აცნობა შილდის მამასახლისს, რომ შეუძლიათ უკანვე გატანა თავიანთ 400 მ., რადგანაც ს. შილდაში აღარ ხერხდება საფოსტო განყოფილების გახსნა. ეს ფული შეწირულებაა სოფლისა. ვისაც რამდენი ჰსურდა იმდენი შესწირა. როდესაც ცნობა მიიღო ხალხმა ფულის უკან დაბრუნებისა, ზოგიერთ შეგნებულმა პირებმა განიზრახეს ბ. ი. ხინჩაკაშვილის თაოსნობით მიმართონ თხოვნით იმ პირთ, ვისაც შეწირულება აქვს ამ 400 მან. დაუთმონ თავიანთი წვლილი სამკითხველოს შენობის მოსახმარებლად, რომელიც 15 წელიწადია რაც არსებობს ს. შილდაში და ვერას გზით ვერ მოხერხდა მისთვის საკუთარი ბინის გაჩენა. კიდევ კარგი რომ მოიპოვება ისეთი ქველ-მოქმედი კაცი, როგორიც ბრძანდება ბ. კ. ძიევი და შვიდი წლის განმავლობაში უსასყიდლოდ უთმობს ერთს ოთახს სამკითხველოს, თორემ თქვენს მტერს რაც ჩვენ სამკითხველოს დღე ედგა! ზარაფის ყუთივით ერთი ქუჩიდან მეორეზე დავათრევდით და ვერ გაგვეჩერებინა დონეზე.

ბ. ი. ხინჩაკაშვილი გამოჰლაპარაკებია რამდენსამე ამ საქმის შესახებ და აღუთქვამთ, ფულის დაბრუნებისთანავე მას შეუძლიან მათგან შეწირული ფული მიიღოს. როგორც ბ. ი. ხინჩაკაშვილმა გადმოგვცა, უკვე 100 მანეთი არის ამ რიგად შეპირებული. სასიამოვნოა ბ. ილიკო ხინჩაკაშვილის შრომა ასეთ ფრიად სიმპატიურ საქმისთვის. იმედი გვაქვს ბოლომდე მიიყვანს დაწყებულს საქმეს და სახსარ მოკლებულ სამკითხველოს გაუჩენს მუდმივ და საკუთარ ბინას. კარგი იქნება ბ. მამასახლისიც არ ჩამორჩეს ამ საზოგადო საქმეს და არ გაუცრუოს ზოგიერთთ ის იმედი, რომელსაც მასზე ამყარებენ.

ლეო.

ს. ახმეტა. დადგა გაზაფხული, გაიფოთლა ტყე და ახმეტა-თიანეთის გზაზე ყაჩაღობამ კვლავ იჩინა თავი. სძარცვამდნენ ყველას, მდიდარს და ღარიბს, ართმევდნენ ფულს, ქამარხანჯალს, საათს, ჰხდიდნენ ტანისამოსს, ფეხსაცმელს და სხვებს. მძარცველთა ბრბოს შესაპყრობლად სასტიკი ზომები იქმნა მიღებული, მაგრამ მათ კვალს ვერ მიაგნეს და, ჯრო გამოშვებით, ერთსა და იმავე ალაგას მგზავრებს არხეინად სძარცვამდნენ.

ბოლოს შახვეტილიდან მოყოლებული ანის-ხევამდე შეიარაღებული ყარაულები ჩააყენეს. ამით ძარცვაგლეჯა მოისპო, რადგან ყარაულები მგზავრებს აცილებდნენ.

11 მაისს ღამე ბოქაულმა მათურელმა პანკისში შეიპყრო ბრბოს მეთაური ვინმე გოგოლაური, რომელიც გამოტყდა ვისაც რა წაართვა და ორი ამხანაგიც დაასახელა. ეს ორიც შეიპყრეს, ერთი აღმოჩნდა ახატნელი თათარი, მეორე—თუში აფთარაული; დაიბარეს გაძარცულნი და ყველამ სამივენი თავიანთ მძარცველებად იცნეს.

სამივენი მწყემსებად ყოფილიყვნენ პანკისელ მეცხვარეებთან, შეეკრათ პირობა ეშოვათ იარაღი და საქმეს შესდგომოდნენ.

როდესაც ყარაულები დააყენეს და ჩვენ შესაპყრობად სასტიკი ზომები მიიღეს, ძარცვა-გლეჯა შეუძლებელი გახდაო, განაცხადა გოგოლაურმა, ჩვენც ნადავლი გავიყავით და თავთავიანთ ბინაზე დავბრუნდითო. ისინი თიანეთის მაზრის უფროსთან გაგზავნეს. **არხოტონი.**

სპარსეთის ამბავი

დეპეშები.

თავრიზი (დაგვიანებული ცნობა). მეშკინის გუბერნატორს შახსევენები დასხმიან თავსა. რადგან გუბერნატორს საკმაოდ ჯარი არა ჰყოლია, შუჯა-უდ-დოულესა სთხოვს დეპეშით, უკან დამაბრუნეთო.

თეირანი, ამბობენ, მუჯალალ-უსსალტანე ნურიჯთან რო დაამარცხეს, ქერმანშაჰს ჩავიდა და გზაში არსად გაჩერებულაო. სალარ-უდდოულე ცოცხალი ყოფილა და ქერმანშაჰში 3000 კაცი მოუგროვებია კიდეც. მთავრობის ჯარი ქერმანშაჰს 19 მაისს მიადგება.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ

18 მაისი.

ალბანელთა საქმე.

სალონიკი. პრიშტინის, პრიზრენისა, მიტროვიცისა, დიაკოვიცისა და სხვა ალბანელებს ვალისათვის გამოუცხადებიათ, თუ სამხედრო წესები შემოიღეთ, მთებში გავიხიზნებითო.

ხალხი ჯარისკაცთა გასაწვევ ახალგაზდებს არ იძლევა.

მთავრობა თანახმაა სკოლებშა ალბანელთა ენაზე ისწავლებოდეს საგნები, თანახმაა გზების გაყვანისა და იმისა, რომ ალბანელებმა სამხედრო სამსახური ალბანიაშივე მოიხადონ. სხვა მოთხოვნილებანი უარჰყვეს.

ანდრინოპოლის მიდამოებში დიდძალი ჯარი შეუგროვებიათ. ანატოლიიდან 5000 კაცი რო ჩამოვა, სულ ჯარისკაცთა რაოდენობა 130 ათასამდე იქნება.

სტამბოლი. შინაგან საქმეთა მინისტრი დღეს ჩამოვიდა, მონაწილეობა მიიღო ალბანიის საქმეთა გამო გამართულ მინისტრთა თათბირში.

უსკიუბი. ალბანელთა ბელადებმა იპეკისა, დიაკოვოსი, პლავისა და გუსინიას ოლქთა მცხოვრებლებს მოწოდებით მიმართეს, ოსმალებს მედგრად ებრძოლენითო.

აჯანყებულთა მთავარი შტაბი სოფელ უნიკშია. იქვე ურიგებენ ხალხს იარაღსა.

ლონდონის მუშათა გაფიცვა.

ლონდონი. ნავთსადგურთა ზოგიერთი მუშა საქმეს დაადგა. საბარგო მატარებელნი სურსათით დატვირთეს.

კრიტელები და ბერძნები.

ათინა. აქ ხმა დავარდა, კრიტეს დეპუტატები ათინის დეპუტატთა პალატის გახსნას არ დაესწრებიანო. კრიტელების გადაწყვეტილებას აქაურ პოლიტიკოსთა წრესა და ვაჭრებზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია.

რუმინია და ბესარაბიის შემოერთების ასი წლის თავი.

ბუქარესტი. იასსა და სხვა ქალაქებში ბესარაბიის რუსეთთან შეერთების ასის წლის თავის დღესასწაულის საწინააღმდეგო დემონსტრაციები გაუმართავთ.

ნაციონალურ თეატრში პროფესორმა ქსენოპოლმა აღნიშნა, უსამართლო მოპყრობა რუსეთისა ბესარაბიისადმი. ბესარაბიაში გაუმეფებიათ გარუსების პოლიტიკა და ჰუნგრეთისათვისაც კი გადაუჭარბებიათ, რადგან იქ რუმინელებს პროტესტი და ხმის ამოღება მაინც შეგვიძლიანო.

ქალაქ იასში ძალიან დიდი მანიფესტაცია გაუმართავთ.

მანიფესტაციები დაუწყიათ მანჯურიაში დახოცილ ბესარაბიელთა პანაშვიდის შემდეგ.

ზოგიერთი გაზეთები შავ არშია შემოვლებული გამოსულა. სახლებიც შავის დროშით ყოფილა შემკული.

სოციალ-დემოკრატთა კრებაზე ბესარაბიიდან გამოქცეულმა ამბორემ რუსეთის საწინააღმდეგო ცხარე სიტყვა წარმოსთქვა.

რუსეთი.

მონარქისტთა კრება.

პეტერბურგი. 16 მაისს დაიწყო სრულიად რუსეთის მონარქისტთა ორგანიზაციების წარმომადგენელთა მეხუთე კრება. მოლაპარაკენი უმთავრესად ებრაელობის საწინააღმდეგო ლაპარაკს მოუნდნენ.

კრების წევრნი ექვს სექციად დაიყვნენ.

ხელმწიფე იმპერატორი და აფხაზები.

პეტერბურგი. იმპერატორის გემი „შტანდარტი“, კავკასიის ნაპირებზე რო მოსცურავდა, გაგრის პირდაპირ გაჩერდა. ხელმწიფე იმპერატორი და მისი ასულნი სასახლის მინისტრის თანხლებით ნაპირზე გადმოვიდა, აქ მიეგება პრინცი ალ. ოლდენბურგელი, შემდეგ აფხაზთა დეპუტაციამ, შარვაშიძის მეთაურობით, პურ-მარილი მიართვა მეფეს. იმპერატორი ოლდენბურგის პრინცს ეწვია ჩაიზე. პრინცის ბძანებით ბაღში სახალხო სეირნობა გაემართნათ. ხელმწიფე იმპერატორი და მისი ასულნი დაესწრნენ სეირნობასა და აფხაზების ცეკვა-თამაშს უყურებდნენ.

საღამოს შვიდ საათზე იმპერატორი გაგრიდან უკანვე გაბრუნდა.

წერილი რედ. მიმართ

საბავშვო ბაღის გამგე კომიტეტი ულრმეს მადლობას სწირავს ჩვენ დიდად პატივცემულ იაკობ სვიმონის-ძეს გოგებაშვილს, რომელმაც საბავშვო ბაღს ათი თუმანი შემოსწირა. **გამგეობა.**

ჩვენი ფოსტა

ქუთაისი. პელაგია ლორიას ასულსა და პრ. გუჯაბიძეს. თქვენს კერძო საქმეს საგაზეთო პოლემიკის საგნად ვერ გავხდით. სხვის წერილებისთვის რედაქცია პასუხს ვერ აგებს. თუ თავს შეურაცხყოფილად სთვლით, სასამართლოს მიმართეთ, ჩვენ კი უსაფუძვლო საყვედურები თავიდან ავვაცილეთ.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: **ჩქარი მატარ.** № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 10 წ. **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-IV კლ. ვაგ, ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

ბათუმისაკენ: **ჩქარ. მატ.** № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 8 ს. 18 წ.

ბორჯომისაკენ: **სახ.** № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

მცხეთაში: **საავარაკო** მატ. № 77 a**, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **საავარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

ჯულფისკენ: **საფოსტო** № 74/75 ღამის 2 ს. 40 წ.

ერევნისაკენ: **სამგზ.** და **საბარგო მატ.** № 78/79, მე-I და მე-II კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109/104 —III კლ. ვაგ. დილ. 1 ს. 28 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან: **ჩქარ. მატ.** პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 07, დილ. 4 ს. 56 წ.

ბათომიდან: **ჩქარ. მატ.** პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. 3 ს. 40 წ.

მცხეთიდან: **საავარაკ.** № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **საავ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: **სახ.** № 9/10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7/8, დილ. 7 ს. 8 წ.

ჯულფიდან: **საფ.** № 72/73. დილის 7 ს. 26 წ.

ერევნიდან **საქონ.** და **სახ.** № 80/81, შუადღის 2 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110/111, ღამ. 8 ს. 33 წ.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, [illegible])

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფოჩინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5, ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.

ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.

კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში); თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

გემების მიმოსვლა

საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

ბათომიდან გადის:

საფოსტო № 2. რომელიც ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 26 აპრილს, ხუთშაბათს ღამე 12 ს. გემი ვ. კ. „კსენია“.

1 **ირგვლივ მოსიარულე,** სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტფილისში ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

სანაოსნო ამხანაგობა კავკაზი და „მერკური“

ბაქოდან გადის:

ასტრახნისკენ კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.

კრასნოვოდსკში ყოველდღე საღ. 8 საათ.

ასტრაში ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.

ლენქორანში ორშაბათობით საღ. 6 საათ.

ენზელში (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.

მტკვრისაკენ კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

ბაქოში მოდის:

ასტრახნიდან ყოველდღე საღ. 8 საათზე.

კრასნოვოდსკიდან ყოველდღე დილის ს. 45 წ.

ასტარიდან ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.

ლენქორანიდან ხუთშაბ. დილის 8 საათ.

ენზელიდან (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.

მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკარტები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „**კავკაზი მერკური**“ ტელ. 642.

განცხადებანი

ექიმი **ვ. მუსხელიშვილი** მიიღებს თვალის ავადმყოფ. ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

დაიკარგე

ორშაბათს, 7 მაისს, ტფილისის ვაგზალზე ვექსელები და უბის წიგნაკი.

მპოვნელს უმორჩილესად ვთხოვ წიგნაკი და ვექსელები დამიბრუნოს. მომმართეთ: მე-9 უბ., თამარის ქ., 12 სახ. ხორბალაძისა არუთინ მეზვრიშვილს—ან ფოსტით ამავე ადრესით.

(1—465—1)

ყოველ-დღე მოგვდის:

ახალ-ახალი ხიზილალა (ქიტკა) 2 მ 40 კ გირ. ბოჩკის ხიზილალა 1 მ. 20 კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კობრი, სალიანის თევზეულობა, და ყოველგვარი გამოსული თევზი

(წ.—1131—62)

ექიმი **შ. ა. მ[illegible]ლაძე** იღებს შინაგან და ბავშვათა სნეულებ[illegible] ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ [illegible] ქ. №

ექიმ ნავასარდიანის

პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დილით:

„606“—11—12 ს. **შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** —2 ს. საზებიო და ქალების ავადმ.

საღამოთი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნ ვასარდიანი.**

(წ. 1074.5)

სუსუნატის წინააღმდეგ ახალი წამალი

„**SALO—პიჩილინი**“

სწრაფად და საფუძვლიანად ჰმოქმედობს და ექიმთა აზრით გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფშივე მევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფითაა. ცალი 1 მ. და 80 კაპ.

მოქმედობს კარგად ამ სენის გამწვავების და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუწყვეტელ დენასაც აჩერებს.

დეპო: Петербургъ, разъѣзжая, № 7 аптека Г. Конгейма. იგზავნება ფასდადებით. გასაგზანი ფოსტის ტარიფის მიხედვით. არის აფთიაქებში. ნარდად სააფთიაქო საწყობებში. Метцль 23672.

(წ. 116110.)

თევზის მრეწველნი

მმ.

ძმ. ზველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

ისყიდება დრამატიული თხზულებანი:

ადამიანის ცხოვრება თარგ. ფ.	50	კ.
ბედმა მიღალატა. კ. 3 მოქ.	20	„
ბრძოლა არსებობისათვის. დრ. პოემა, გაბრ.	60	„
გაყრა, გ. ერისთავისა	5	„
გამცემი. დრ. 3 მოქ. გედ.	25	„
გადატაკ. ოჯახი, დრ. 3 მ.	10	„
დემონი. ოპერეტ.	50	„
დარბეულნი. დრ. 4 მოქ.	30	„
დრამ. თხზ. დ. ერისთავისა	1 მ.—	„
დალი, დრ. 3 მოქ.	20	„
დრამ, და კომ., „სორაპ“ გამ.	1 მ.—	„
დრამ. თხზ. ცაგარლისა: ერთი ნაბიჯი წინ, ხანუმა, მშვენიერი ელენეს მამიებ., ოინბაზი	50	„
ვაი ჭკუისაგან. გრიბოედ.	35	„
თანამედროვე პიესები ს. ქტარ.: კოცნა პირვ. და უკანასკ., ფეხთა მეფე, მწუხარება დედაა სიამოვნებისა, მოხერხებული ადუკანტი.	30	„
ილიას დღე ქიათ. და ბატ. და ყმა	20	„
კენჭის ყრა სცენ. 4 მოქ. ფ.	50	„
მამა-შვილნი, ანუ გუბ. 3 მ.	15	„
მტარვლის ბედი. დრ. მოქ.	10	„
მეგობრობა. დრ. 4 მოქ.	30	„
მეზობლები. ტრ. რ. 4 მოქ.	40	„
მოლიერი. დრ. თხზ.	50	„
მარო. დრამის ნაწყვ.	3	„
მიჯაჭული პრომეთე, ედიპე მეფე, მედია.	50	„
მეორე კაენი. დრ. 3 მოქ.	30	„
მაკბეტი. ნათ. ი. მაჩაბლისა	40	„
ნაძირალნი. გორკისა 4 მ.	25	„
ნატვრის თვალი. ნათ. ახნაზ.	40	„
ორი პიესა. ტრ. რ. შეშლილნი, კრიტიკოსთან.	25	„
ორი პიესა, ცხოვრება ბრძოლაა, დრონი მეფობენ.	50	„
ორი ჯიბგირი. ნათ, აბაშ.	40	„
პანთეონი ქართ, თ. იქვიანი ვ. 1 მ., ბნელ ოთახში ვ. 1 მ., ახირებულია.	30	„
რიჩარდ.	40	„
საბედისწერო დამბაჩა დ. 3 მ.	25	„
საღამოს ერთი ცხვირი ხეირია. კომ. 1 მოქ.	10	„
სამშობლოს ბრუჯნი	10	„
სამეგრ. მთ. ლევან ვ. ყიფ.	40	„
უმარილის ბრალია. კ. 3 მ.	10	„
ფეიქრები. დრ. 5 მოქ.	50	„
ქრისტინე. დრ. 5 მოქ.	20	„
ქართული პიესები: უშნო არშიყი, სოფიო, სცენა ქალაქის ცხოვრებიდან.	20	„
ღალატი. ნათ. ყიფშიძისა	50	„
ღალატი. ნათ. ნ. ავალ.	1 25	„
ღალატი. ნათ. კ. მესხისა	25	„
ცოლი ვიტირო თუ ფული!?	15	„
შვილი უდანაშაულოდ დასჯილისა. დრ. 4 მოქ.	30	„
წყურვილი. დრ. 3 მოქ.	30	„

ადრესი: Тифл. О-во распр. грамотн. сред. груз. насел. (წ. 1141.47)

ჭურჭლეულისა და ავეჯეულობის მაღაზია ფ. ს. ფილიპოვისა,

ქუთაისში **ქუთაისში**

ყოველთვისა გვაქვს დიდ-ძალი რჩეული: ფაიფურისა და ფაიანსის ქაშანურის (ქაშან) ჭურჭელი, საუცხოვო ბროლისა და მინის საქონელი. ვარშავისა და საზღვარ-გარეთის ლამფები. საზღვარ-გარეთული ემალიანი თეთრი კასტრიულები და სპილენძის ჭურჭლეულობა. სამოვრები, კეროსინკები და ყოველგვარი საოჯახო მოწყობილობა ახალი ვერცხლისა (მელხიორის) და ბრინჯაოსი. ვენური, მოხრილი და ინდოეთის ლერწმის (ბამბუკის) რბილი ავეჯეულობა, ყოველ-გვარი საუკეთესო შკაფები, ინგლისისა და ვარშავის კროვატები, ლოშაკები, კედლისა და საპირფარეშო სარკეები, მაგიდის კლიონკები და იატაკზე საფენი ლინოლეუმი. საზღვარ-გარეთისა და რუსეთის გიტარები, მანდოლინები, ბალალაიკები, ყოველ-ნაირი სიმები, პატე-გრამოფონები, გრამოფონები და მათი ფირფიტები, პიანინო-როიალები, სხვა და სხვა ქარხნისა. ელექტრონული ლამფები და მათი მოწყობილებანი. ორთქლ-მრეცხავები (პარომოიკი) ახალის სისტემისა და საკლესიო მოწყობილება. დიდ-ძალი რჩეული **შპალიერი** თოფი 8 კ.-დან 1 მ. 50 კ.-დე. ქუთაის. და ბათომის გუბერნიისა. გვაქვს წარმომადგენლობა: **საწერი მანქანა „ტორპედოსი“.** ფასები მეტის-მეტად დაკლებულია. (წ. 1236.9)

ტფილისი, მუხრანის ქუჩა № 12, სტამბა „შრომა“.